სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 4 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакция „Эртоба“ [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 212 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 212

გულ დათუთქული და მუდამ მწუხარებაში მყოფნი დედა თებრონე გიორგის ასული, ძმები: ნიკოლოზ და გიორგი; ბიძები: სამსონ, ერმალო, ისააკი; ბიცოლები: ნეონილა და ეკატერინა ურუშაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 5 ოქტომბერს (ახალი სტილით) დღის პირველ საათზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაზე, ძვირფას, და დაუვიწყარი სტუდენტის-ჯარისკაცის ქ. ქუთაისში გარდაცვალებულის

ვასილი (ვასო) სიოს ძე ურუშაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

გულდამწვარი ანნა მიხეილი ასული ურუშაძისა შვილები მისი: ჩიტო, ვერა, ლეო და საშა და სიძე გიორგი დოლიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 5 ოქტომბერს პირველ საათზე ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასი მაზლიშვილის და მეორენის საყვარელი ბიძაშვილის და მეგობარის, უდროოთ დაკარგული სტუდენტი

ვასო სიოს ძე ურუშაძის

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

მეუღლე ატატო კოტატის ასული, შვილები დავითი ალექსანდრე და პორფილე ტაიას ძენი ჩაჩიბაიები, პარასკევა ტაიას ასული დგებუაძისა, ეფროსინე ტაიას ასული კობახიძისა, ვლადიმერ დგებუაძე და ლევან კობახიძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მეუღლის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსესი მამის მეშვიდე და მერვესი სიმამრის

ტაია დავითის ძე ჩაჩიბაიას

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა თავის სახლში. დაკრძალვა დანიშნულია 6 ოქტომბერს (ახალი სტილით). სოფ. გურძემში (სენაკის მაზრა) ადგილობრივი ეკლესიის გალავანში. (3—2).

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ანეტა ივანეს ასული, შვილები ნინა და სევერიანე, ძმის შვილები პარმენ, მარია და გერასიმე, ბიძაშვილები არტემ და გედევან ფირცხალაიშვილები, სიდედრი ლისა მაქსიმენის ასული, ცოლის ძმები გიორგი და ვასო ჰანიშვილები, ქვისლნი გერასიმე კვირღელიძე და ლავრენტი ბოხუა, ცოლის დები: ლიუდი, მარო და ქეთო გულითადის მწუხარებით აუწყებთ ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ შაბათს ოქტომბრის 5-ს (ახ. სტ.) დღის 10 საათზე ნიგოითის სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ლეჩხუმის ფრონტზე ბრბოებთან ბრძოლაში დაღუპულ რკინის გზის გვარდიელის

მიხაკო ნანიკოს ძე ფირცხალაიშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ძმები: იოსებ, ნიკო და ივანე, დები: მატრონე, მართა და ეკატერინე, რძლები: მინადორა და ეფროსინე, სიძეები: ივლიანე სულუხია, ანტონ მუჯირი და სიმონ ესაკია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 6 ოქტომბერს სოფელ დვაბზუში ადგილობრივ სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დღის 12 საათზე თფილისის საგანგებო რაზმის უფროს-პორუჩიკის

სამსონ გრიგოლის ძე ღლონტის

სულის მოსახსენებლად, რომელიც დუგერდში აჩმეზმახის მთაზე ასკერებთან შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა. (2—1)

ქალაქ ყვირილის ქალ ვაჟთა გიმნაზიების მასწავლებლები ღრმა დამწუხრებულნი აუწყებენ ნაცნობებსა და მეგობრებს ძვირფას ამხანაგის ამავე გიმნაზიების მასწავლებლის

ვასილ თედორის ძის არდიშვილის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 3 წიფობისთვეს ქალ. ყვირილაში ნაშვადღევის 4 საათზე.

სექტემბრის 27 ს. ბაჭში (რაჭის მაზრა) ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სეფორა ლევანის ასული გენდუკიძისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მისი მეუღლე პორფილე, შვილი პროკოფი (ბიჭია) და რძალი ბარბალე. პანაშვიდი იქნება გადახდილი თფილისში, კვირას 6 ოქტომბერს წირვის შემდეგ, კალოუბნის ეკლესიაში.

პირველი რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი ამხ.

ალექსი (საშა) მაისურაძისას.

დასაფლავება დღეს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება—გრონზენსკის ქ. № 1 ნაშვადღევის 3 საათ. შტაბი სთხოვს ამხანაგებს დაესწროს ამხანაგის დასაფლავებას.

სახელმწიფო თეატრი. ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა.

პარასკევს, 4 ოქტომბერს

დუბროვსკი

ოპერა 4 მოქ. და 5 სურათათ, მუსიკა ნაპრავნიკისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ვოლ-ლევიცკისა, იანსა, ოვსიანიკოვისა, ვალიპსკი, ბ. ბ. მოლჩანოვი, პოლიაევი, ზუბარევი, ნიკოლსკი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი, ორლიუკი, კურხული.

დირიჟორი სამოხუდი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კასა ღიაა დილის 10—2 ს. და სალამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: 5 ოქტომბერს—„ტანჰეიზერი“, 6 ოქტომბერს—„ტოსკა“, 7 ოქტომბერს—„აიდა“.

## ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის სამ ნოემბერს უნდა გაიხსნეს.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე გასულიყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი დიდი შემთხვევებითა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოს, არარატისა და ადერბეიჯანის.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენ პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

საბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს გულის ყური თქვენსკენ იყო მოპყრობილი... დავიწყეთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მოქმედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და სვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა ალღო დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობზე ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვესწრაფვით აქეთკენ. ჩვენმა ყრილობამ მსჯავრი უნდა დასდვას ჩვენ წარსულ ნამუშევარს, დააფასოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავლისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება, 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სასურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შენიშვნა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე 12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი.

## ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ მომგებიანი,
იაფი: სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ მომგებიანი!

## სპეკულიანტები ქალაქის საბჭოში

ქალაქის თვითმართველობის ხმოსნებმა ისახელეს თავი. მათ ოპოზიციონერობა გამოიჩინეს კადეტ ხანდამოვის მეთაურობით.

სპეკულიაციის შეზღუდვით განაწამები ეს იდეოლოგი მადა გაუმაძღარ ვაჭრებისა—ეკვეთა თავისებური რიხით საგანგებო რაზმს და ატეხა განგაში: არიქა უშველოთ, ვაჭრებს სპეკულიანტობას არ ანებებენ, გადამალული საქონელი უპოვნესო. ეს ბ ნ ხანდამოვებისგან არც გასაკვირია. მათ ხომ ქალაქის ბედი და მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესები არარათ აქვთ მიჩნეული.

იგი რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა გმობდა საერთოთ მეთოდს ბრძოლისას სპეკულიაციასთან, შემდეგ დაუსაბუთებელი და საეჭვო ცნობებით სდებდა ბრალს მათ მექრთამეობაში, შანტაჟში, მაგრამ კონკრეტიული ფაქტი მაინც ვერ დაასახელა.

დაშნაკცაკანებმა იშოვეს საბაბი და ვაჭრების გულის მოსაგებათ თვითონაც მხარში ამოუდგენ კადეტთა ორატორს. ეს არც გასაკვირია. სული სულს იცნობს. მაგრამ განსაკუთრებული აღტაცებით მიეგებენ შეკითხვას—რუს ჩინოვნიკთა სოციალისტები, ნაშთნი ადგილობრივ ესერებისა. ამ უკანასკნელთა პროფესია ამ ჟამათ საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაა. თვით რუსეთის დამანგრეველ ბოლშევიკების მეთოდსაც კი არ ერიდებიან, ოღონდ დამოუკიდებელ საქართველოს რაიმეფრათ ტალახი ესროლონ.

რაშია საქმე?

რამ გაამწარა ასე ეს ვაჟბატონები?

ერთნი სპეკულიაციის ალაგმვამ. მეორენი თავისმა დაუთავებელმა, მაგრამ უნაყოფოთ შთენილმა ავანტიურამ. ხანდამოვებს და დაშნაკელთ ამ შემთხვევაში პოლიტიკა ნაკლებ აინტერესებთ. მათი მიზანი—ერთია, მიეცით ვაჭრის ჯიბეს საშვალება ხალხის, მომხმარებლის ხარჯზე უზომოთ გაიბეროს.

ესერების ხელაღებულ ავანტიურისტებს კი განაწყენებულ რუსის ჩინოვნიკების გულის მოფხანა აქვთ სახეში მიღებული. და აი ეს ორი ძალა შეერთდა. ესერ დაშნაკელებმა ისიც კი დაივიწყეს, რომ ქალაქის გამგეობაში სხედან მათი წარმომადგენელნი და რადგან საერთო გეგემონია იქ ს.-დ. ეკუთვნით—თავიან თებიც აღარ დაინდეს. მთელ გამგეობას უნდობლობის ფორმულა გამოუტანეს.

ს. დ. ხმოსნები საერთოდ საბჭოში ერთ მესამედზე ცოტა მეტს წარმოადგენენ და არა უმრავლესობას. ამიტომ მოკავშირეთა განდგომას ყოველთვის შეეძლო ასეთ შედეგის მოტანა. ჩვენ ეს ძალიან გვახარებს.

პოლიტიკურ საკითხში ეს ვაჟბატონები თუმცა ძალიან ყვირიან, მაგრამ ასეთ ფორმულას ვერ გამოიტანდენ. და ის საბაბი, რომელიც მათ იშოვნეს—მათი დამახასიათებელია. საქმის მდგომარეობის მოკლეთ გახსენება გამოააშკარავებს ამას.

ეროვნულმა საბჭომ დაარსა საგანგებო რაზმი სპეკულიანტებთან და კონტრ-რევოლიუციონერებთან საბრძოლველად. ამას ყოველი რევოლიუციონერი უნდა სიამოვნებით შეგებებოდა. ამ რაზმმა თავის მოქმედების მცირე ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სპეკულიანტი დაატუსაღა, მრავალ მილიონის გადამალული საქონელი აღმოაჩინა, არ დაუტოვებია თავის მხედველობის გარეშე არც ისეთი პირის მოქმედებაც, რომელიც დაშნაკცაკანთა „საუკეთესო პირის“ სახელს ატარებს და უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლათაც კი გამოდის. მდიდრები და მილიონერები არ გადარჩებიან მის ზედამხედველობას. ეს მისი ღირსებაა.

ყველანი შეიძლება არ იდგენ საჭირო სიმაღლეზე. მაგრამ ასეთებს კანონი სდევნის და მთავრობა ხელს არ დააფარებს. საჭიროა მხოლოდ შემკითხველებმა ან მოქალაქემ მათი ბოროტმოქმედება ამხილონ. მაგრამ ეს კი არ უნდათ მემარჯვენე ფრთას ჩვენი ქალაქის საბჭოსას, მას უნდა თვით რაზმის გაუქმება. და თუ ამას ვერ მიაღწევს, მას უნდა ყოველ შემთხვევაში მოაკლოს მას ის დახმარება, რომელსაც კანონი და მდგომარეობა ავალებს მათდამი ადმინისტრაციის მოხელეთ.

რუს ჩინოვნიკთა ესერები თვით უფრთხიან ამ რაზმს, რადგან ვერ არიან პირწმინდათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინაშე. და ამის გამო მზათ არიან თუნდა ხანდამოვებს, თუნდა ქუჩის სპეკულიანტებს, თუნდ შეთქმულ კონტრ-რევოლიუციონერ თავადებს და აფიცრებს შეუერთდენ, ოღონდ კი დემოკრატია, რომელთაც სოციალისტური მთავრობა ხელმძღვანელობს, როგორმე დაამხონ.

რევოლიციური კანონის დარღვევა და ეროვნულ საბჭოს დადგენილების წინააღმდეგ წასვლა მათთვის ახალი ხილი არაა. და ვინც თავს საქართველოს მოქალაქეთ არ გრძნობს, მეტი პატივისცემა არც მოეთხოვება. ძველი ბატონობის აღდგენის მოტრფიალე—და ჩინოვნკთა დამცველი განა ნამდვილ რევოლიუციურ მუშაობას შეეგუება?

კადეტი ხანდამოვები დიდი ხანია გაკოტრებულია ხალხის თვალში. იგინი ბუნებრივი მტერია დემოკრატიის და მოქომაგე სპეკულიაციის, რომელიც მათი სტიქიაა. ესერებმა კი ახლა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ იდეური საფანელი მხოლოდ სპეკულიანტთა დასაცველათ აქვთ მომარჯვებული.

დემოკრატია ამისთვის მადლობას არ ეტყვის. დემოკრატიზმის და თავისუფლების სახელით რომ ებრძვიან რაზმს, განა რაზმი მუშებს და გლეხებს ატუსაღებს, განა იგი მათ კავშირებს და კრებებს სდევნის? არა, იგი სდევნის სპეკულიანტებს და დემოკრატიის მტრებს. მაშასადამე ზღუდავს თავისუფლებას სპეკულიაციისას და ბოროტ მოქმედებისას. ამ უკანასკნელი ტიპის თავისუფლება მართლაც იკვეცება—ამ რაზმისაგან. და ესერების რეზოლიუცია, რომელიც გაიძახის: რაზმის არსებობა თავისუფლების ბორკავსო, ნამდვილათ ამით თხოულობს სპეკულიანტთა და მაროდიორთა ნებაზე მიშვებას.

ასეთია ძველ ჩინოვნიკთა პარტიის რევოლიუციონერობა.

მაგრამ მუშებმა კარგად იციან, რომ მათ უფლებებს ეს რაზმი არ შეხებია, პირიქით, მათი არსებობის პირობები და დემოკრატიულ წყობილების გამაგრებას უმზადებს ნიადაგს და ამიტომ ღირსეულად დააფასებს ამ ახალმოდის ფრაზეოლოგებს, რომელნიც საქმით ბნელში მომქმედთა ინტერესებს ექომაგებიან.

## პრესა

სადაც მრავალი ერებია და განსაკუთრებით წვრილი ერები, იქ ნაციონალიზმის ბუდეა. ერთა შეხლა-შემოხლა მთავარი ძარღვი იყო ძველი რეჟიმის პოლიტიკის. და ნაციონალისტებიც ამ ძველ ხელობას ერთგულათ მისდევენ. თავისთავათ საკითხი ენის და წერის—არის საკითხი სამოქმედო იარაღის, არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ ნაციონალისტების ხელში იგი დიდი ბრძოლის და განგაშის იარაღად ხდება.

მიზეზი ამის ორია: ერთი ის, რომ ხალხს თავის ენის გარეშე სხვა იარაღი არ მოეპოვება და მას ებღაუჭება. მეორე ის, რომ ამ გზით შეიძლება ნაციონალურ საკითხებიდან ყურადღების გადატანა ეროვნულ ურთიერთობის სფეროში, რაც იმავე ხალხისთვის მავნებელია და მაღალ კლასებისთვის კი სასარგებლო.

გაზეთ „გრუზია“-მ ეს კარგათ იცის: ამიტომ იგი ჩვენი პარლამენტის დადგენილებას თავის ენაზე ლაპარაკის შესახებ არ იწონებს, ამით მათ შეძლება მიეცემათ დემონსტრაციები მოხდინონო. მაგრამ დემონსტრაციები ხომ „სვისტოკითაც“ შეიძლება მოხდეს! თუ მდგომარეობის გამწვავება მოახერხეს ჩვენმა ნაციონალისტებმა—ენის უფლება თუ აკრძალვა არაფერს სარგებლობას მოგვიტანს. ავსტრიამ იცის მაგალითი აკრძალვის, რომელსაც ობსტრუქცია კიდევ უფრო გაუძლიერებია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მიზეზი ობსტრუქციის ენა კი არ არის, არამედ ეკონომიური ჭიდილი და ინტერესთა წინააღმდეგობა მაღალ კლასების. და ჩვენ არ გვინდა, რომ მათ ექნესთ საშუალება ამ ჭიდილს სხვა ზეწარი გადააფარონ. ის უნდა აშკარა და ნათელი იყოს, რომ ხალხმა იცოდეს, რაზე იბრძვიან ჯიბეთა სქელი ელემენტები და მათი იდეოლოგნი. „გრუზია“ სწერს:

„ქართულ პარლამენტის გადაჭარბებული გარეგნული მორიდების წყალობით მდგომარეობა უკვე გამწვავებულათ უნდა ჩაითვალოს... ეს პირები (ეროვნულ უმცირესობის წარმომ.) მოვლენ ქართულ პარლამენტში და, ცხადია, პირველ სხდომაზედვე განაცხადებენ, რომ მათ მოუსმინონ უცხო ენაზე, რომელზედაც მათ შეუძლიათ ნათლათ და გასაგებათ გამოსთქვან თავისი აზრები. თუ ეს „დემოკრატიული“ მოთხოვნილება არ აღასრულეთ, ისინი დემონსტრატიულათ დასტოვებენ კრებას“. (გრ. № 26).

ამას სწერს გაზეთი ხუთშაბათის, სამს ოქტომბრის ნომერში ქ. თფილისში, სადაც საქართველოს საბჭოს სხდომები იმართება. ხოლო იმავე ნომერში მოთავსებულია ანგარიშები სამშაბათის 1 ოქტ. სხდომის, სადაც ნათქვამია, რომ სომხის ერის წარმომადგენლებმა თავის პირველი გამოსვლა ქართული ენით დაიწყეს და ამ ენით წაიკითხეს თავის დეკლარაცია.

მაშ, რათ დასჭირდა პირველ გვერდზე ჭორის დაწერა ამ თურქოფილურ გაზეთს, თუ მეორეზე მის უარყოფას ათავსებდა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

იგივე გაზეთი აღნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობათ აურჩევიათ ისეთი წარმომადგენელი, რომელმაც არც ქართული იცის, არც თავის სამშობლო ენა, რომელნიც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდენ და იბრძვიან დღემდე და სხვ.

ჩვენ დეპუტატის არჩევას ასე ვუყურებთ: იგი გამოხატავს ამრჩეველთა სულისკვეთებას. როგორც ამრჩეველი ისეთია დეპუტატი. და თუ ერში არის ისეთი ელემენტები, რომელნიც უარყოფით უყურებენ ჩვენს უკანასკნელი დროის პოლიტიკას, სჯობს ეს აშკარათ სთქვან, სჯობს ეს ჩვენ ვიცოდეთ და მათაც იცოდენ.

ჩვენ უფრო დავკმაყოფილდით დეპუტატთ, რომ ჩვენი მომხრე გამოეგზავნათ და ხალხი კი წინააღმდეგი ყოფილიყო. „გრუზია“ ლაპარაკობს ეჭვი არაა, სომხებზე და მათ ესერ დეპუტატებზე.

მათი სახელით წაკითხული დეკლარაცია დავითხანიანის მიერ—თითქოს გვეუბნებოდა, რომ ისინი სხვა მიზნით შემოვიდენ ჩვენს პარლამენტში. და თუ ისინი ამ დეკლარაციას საპირფეროთ დაეთანხმენ, ამას ჩვენც გავიგებთ და მთელი ხალხიც დაინახავს მათს ორპირობას. დეკლარაცია თამასუქია, რომლის განაღდება მათაც მოეთხოვება. და თუ მათ სომხური არ ეცოდინებათ ან სუსტათ და სხვა რომელიმე უმცირესობის ენაზე მოისურვებენ თავის აზრის გაზიარებას პარლამენტისთვის—ჩვენის ღრმა რწმენით ამ საკითხს ჩვენ უნდა შევხედოთ, როგორც დროებით მოვლენას და ერთგვარი წესი ურთიერთის გაგებისა და საერთო მუშაობისა უნდა შევიმუშაოთ. რაც ხელს არ შეუშლის და არ გააძნელებს პარლამენტის მუშაობას, ჩვენ შეგვიძლია დავთმოთ. რაც გააძნელებს—იმას ვერავინ მოგვთხოვს და ვერც ჩვენ მივიღებთ ასეთ მოთხოვნას. თვით მათი არჩევა „გრუზიას“ დემონსტრაციათ მიაჩნია. ჩვენი აზრით ეს არის მხოლოდ დემონსტრაცია, ე. ი. დანახვება ჩვენთვის იმ სულიერი განწყობილების, რომელსაც ადგილი აქვს სომხის ერის ერთ ნაწილში. საქართველოს კი ორი დეპუტატი ვერც დაამხობს, ვერც ააშენებს...

## საქართველოს ეროვნული საბჭო

(დასასრული).

ნ. ქარცივაძე კითხულობს კანონ პროექტს თფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლის, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა და საკანცელარიო ზედმეტ ხარჯების გადადების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს კანონი იუსტიციის მინისტრმა დიდიხანია წარმოუდგინა ეროვნულ საბჭოს, მაგრამ

იურიდიულ კომისიაში დაგვიანდა მისი განხილვაო.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ საბჭო უკამათოდ ამტკიცებს ამ კანონ-პროექტს.

**კანონ პროექტი საქართველოს სახელმწიფო დროშის პროექტის შემდგენელისათვის 3,000 მანეთის მიცემის შესახებ.**

**დ. ონიაშვილის** მოხსენებით საბჭომ უკამათოდ მიიღო წარმოდგენილი კანონ-პროექტი, რომლის ძალით საქართველოს დროშის შემდგენელ ი. ნიკოლაძეს უნდა მიეცეს 3,000 მანეთი.

**ალ. ახმეტელის შეკითხვის შესახებ კამათის გაგრძელება.**

**თ. ღლონტი.** აღნიშნავს შეკითხვის უმნიშვნელობას და საერთოდ სასურსათო პოლიტიკას და ამბობს, რომ შეკითხვა შეიძლება თავის-თავად უმნიშვნელო იყოს, ხოლო თვით სასურსათო საქმის ორგანიზაცია—სისტემა დიდმნიშვნელოვანი საკითხია. უკვე ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს შეკითხვა აქ არის დასმული, ამ ხნის განმავალობაში მთავრობამ სასურსათო საქმის რეორგანიზაცია მოახდინა, შეიქნა ახალი ორგანიზაცია. რა უნდა დაედვას სარჩულად ამ ახალ სასურსათო ორგანიზაციას და მის პოლიტიკას? ცხადია საქმისათვის აუცილებლათ საჭიროა მოკრებილ იქნას ყველა ცოცხალი ძალები, დაწყებული ბურჟუაზიიდან და გათავებული მემარცხენეებით. თუ სადმე საჭიროა ტრადიცია, ეს უპირველესად ყოვლისა ამ საქმეში. ეს სპეციფიური დარგია და არ შეიძლება ისე მალ-მალე იცვლებოდეს ორგანიზაცია, როგორც ეს ხდებოდა. სასურსათო სამინისტროს უმთავრეს საკითხს შეადგენდა პურის საკითხი. ამ უწყებამ ეს საქმე მიანდო დიქტატორს, რომელსაც სამწუხაროთ არაფერი გაუკეთებია. შექმნილი ახალი ორგანიზაცია არ არის დამაკმაყოფილებელი, ის დამოუკიდებელია მთავრობისაგან და წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში. მას არა აქვს სათანადო უფლებები, რომ დამოკიდებულება იქონიოს სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენის აზრით საჭიროა სასურსათო ორგანიზაციის განკარგულებაში იყოს ყველა ის საქონელი, რომელიც მოეპოვება სხვადასხვა ორგანიზაციას, თუ გინდა მომარაგების კომიტეტს და ეს ორგანიზაცია სრულს მთავრობის მორჩილებაში იყოს.

**თ. კიკვაძე** მოქალაქენო! თუ არ ვცდები, დღეს მესამე სხდომაა, რაც საბჭო მსჯელობს ახმეტელის შეკითხვაზე. საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს საბჭოში მემარჯვენენი შემოიტანენ სრულიად დაუსაბუთებელ და უაზრო შეკითხვებს და საბჭოს დროს აკარგვინებენ.

ჩვენი ფრაქცია შეკითხვებს საერთოდ დიდ ფასს სდებს და მით ის სარგებლობდა სახელმწიფო სათათბიროში და სხვაგან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შეკითხვა დასაბუთებული უნდა იყოს. აქ 4 თვეა, რაც შეკითხვები შემოაქვთ ამ სკამებიდან (მიუთითებს ნაც. დემ.) და არც ერთი შეკითხვა დასაბუთებული არ ყოფილა. ვერც ბ. ახმეტელმა დაასაბუთა თავისი შეკითხვა. აქ ბ. ახმეტელმა განაცხადა, რომ სასურსათო სამინისტროში პანამა ხდებაო, ხოლო დასამტკიცებლათ საბუთები არ მოუყვანია. ყოველ შემთხვევაში რევიზია ხდება და ის იტყვის უკანასკნელ სიტყვას და თუ რაიმე ბოროტება ხდება—დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან. ჩვენს ფრაქციას შემოაქვს კანონ-პროექტი, რომლის ძალით ყველა ბოროტმომქმედნი და ის პირნი, რომელნიც თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ, სასტიკად უნდა დაისაჯონ. როგორც ზევით ვსთქვი, შესაძლოა სამინისტროში მართლა რაიმე ბოროტებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ამას რევიზია გამოარკვევს, ხოლო რაც შეეხება სასურსათო სამინისტროს, უნდა აღვნიშნო, რომ არც ერთ სამინისტროს, ორგანიზაციას არ შეუძლია იარსებოს დროსა და სივრცის გარეშე. მე აზრათ არა მაქვს დავიცვა ეს სამინისტრო. მხოლოდ მსურს მიუთითო საბჭოს იმ პირობებზე, რომელშიაც სამინისტროს უხდებოდა მუშაობა. ჩვენი დამოუკიდებლობა გამოცხადდა 26 მაისს. ეს ის დრო იყო, როცა ძველი პური გამოლეული იყო, ხოლო ახალი შემოსული არ იყო. მასთან უნდა ვსთქვა, რომ საქართველოს ყველა ქალაქები იკვებებოდენ უცხოეთიდან შემოტანილი პურით. პურის საკითხი დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხმა დაამხო რუსეთის ძველი მთავრობა და ამავე საკითხმა ჩასცა სასიკვდილო მახვილი გულში რევოლუციას. როცა სააკიანი და ტერგაზარიანი მუშაობდენ სამინისტროში, მაშინ უფრო კარგი პირობები იყო, გზები მაინც გახსნილი იყო და შეიძლებოდა პურის შემოტანა. ჩვენს სამინისტროს ძველი ორგანიზაციისაგან არაფერი არ მიუღია, გარდა შაქრისა. ცუდი პირობები შეიქნა, გზები დაიკეტა, შიგნით ზოგიერთი კუთხეები საშინელ შიმშილს განიცდიდენ. ასეთ ცუდ პირობებში უხდებოდა სამინისტროს სხვადასხვა ხელშეკრულებათა დადება კერძო პირებთან. მე ახლა გადავდივარ იმ ხელშეკრულებაზე, რომლის მიუღებლობა საქართველოს რესპუბლიკას დაღუპავსო, რომ გაიძახიან ნაც.-დემოკრატები და მათი ამყოლ-დამყოლნი. ეს არის ხოშტარიას მიერ წარმოდგენილი პირობები. ხელშეკრულობა ხელთა მაქვს. იქ არის ისეთი მუხლი, რომლის მიღება ყოვლად შეუძლებელია, ის ერთიანად უბორკავს ხელფეხს ჩვენს ხაზინას და მასთან ძლიერ საზარალოა. ხოშტარია თხოულობდა პურის მონოპოლიის უფლების მიცემას საქართველოს რესპუბლიკაში, მასთან ის თხოულობდა 3 მილიონ რუსულ ფულს, ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული დრო, თუ როდის უნდა შემოეტანა. როგორც ხედავთ ეს ხელშეკრულება მიუღებელი იყო. მაზმანოვის ჯგუფთან დადებული ხელშეკრულება შედარებით უკეთესია. რაც შეეხება ტაგიევს სამინისტრომ მას მისცა 2 ვაგონი შაქრის გატანის ნება, მაშინ, როცა გურიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდა აუარებელი დეპეშები შიმშილის შესახებ და თხოულობდენ პურს. ამ პირობებში სამინისტრო იძულებული იყო იმ შედარებით არა საზარალო პირობებზე მოეწერა ხელი. ტაგიევს ორი ვაგონი შაქრის სამაგიეროდ უნდა შემოეტანა ორი ვაგონი პური და 120 ათასი მანეთი ფული უნდა დაემატებინა. ამ ნაირათ ის ბრალდება, რომ სასურსათო სამინისტრო არ შეეცადა უფრო ხელსაყრელ პირობებში შეეკრა ხელშეკრულებაო, სიმართლეს მოკლებულია.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს საერთოდ დადებულ ხელშეკრულებათა უარყოფით და დადებითი მხარეებს და ამბობს, რომ თუ ობიექტიურ პირობებს გავითვალისწინებთ, მაშინ ასეთ ბრალდებას ვერ წამოვაყენებთ.

წელს კი საბედნიეროდ მოსავალი დიდია. თუ პურიც შემოტანილ იქნა ერთ მილიონ ფუთამდე, ქ. ტფილისს ეყოფა. სოფლად კი წრევანდელი მოსავალი თითქმის საკმარისია.

ბ. ახმეტელმა იცოდა, რომ 14 აგვისტოს სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით სასურსათო უწყების რევიზია დაინიშნა, მაგრამ მიუხედავათ ამისა 17 აგვისტოს მან შეკითხვა შემოიტანა. მას უნდა მოეცადა რევიზიის შედეგისათვის, მაგრამ ეს პირადი მისი საქმეა. ჩვენ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ სასურსათო საქმე ერთობ რთული საქმეა. ამის სათანადოთ მოწესრიგება თვით გერმანიასაც ვერ მოუხერხებია. აქ მონოპოლიაზე ამბობდა ბ. ღლონტი, მონოპოლია შეიძლება განხორციელდეს იქ, სადაც მთელი ხალხი ამას ხელს უწყობს. ჩვენში კი საამისო პირობები არ არის და ვერც განხორციელდა. ჩვენი მთავრობა უნდა შეეცადოს და როგორმე შემოიტანოს უცხო ადგილებიდან განსაზღვრული რაოდენობა პურისა. ამის გაკეთებას უფრო შესძლებს ის ახალი სასურსათო საბჭო, რომელიც შესდგება კოოპერატივების, ქალაქთა კავშირის, ქალაქის თვითმართვ. რკინის გზის მთავარ კომიტეტის და მთავრობის წარმომადგენლებისაგან, ეს საბჭო ხალხთან უფრო დ ახლოვებულია და მისი მუშაობაც ნაყოფიერი იქნება. თუ იმის წინააღმდეგ ილაშქრებენ, რომ რათ ნიშნავს მთავრობა თავმჯდომარესო, ეს იმიტომ არის, რომ მთავრობის და საბჭოს შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი, თუ ეს ასე არ იქნა, არ ვარგა, მთავრობა იღებს ხარჯებს და იქ თავისი კაცი უნდა ყავდეს. ჩვენ ბევრი ზომები ვსცადეთ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიაღწია მიზანს და ამიტომ მხარს უჭერთ ამ ახალ სასურსათო ორგანიზაციას და პოლიტიკას.

**რ. გაბაშვილი.** ბ. კიკვაძემ განაცხადა, რომ მთავრობას არ დავიცავ ჩემს სიტყვაშიო, მაგრამ მაინც დაიცვა. მან სთქვა: ხელშეკრულებები ცუდ პირობებში იქნა შეკრული და ამისდა მიუხედავათ მაინც და მაინც საზარალო არ არისო. ნ ჟორდანიამ კი წინა სხდომაზე განაცხადა, რომ 12 ხელშეკრულობიდან, მხოლოდ ერთი არ არის საზარალო, დანარჩენი კი საზარალოაო. რომელს დაუჯეროთ? კიკვაძემ ისიც განაცხადა, რომ ეს მემარჯვენე ფრთა თავისი შეკითხვებით დროს გვაკარგვინებსო. ეს მართალი არ არის. შეკითხვებს ჩვენ მაშინ ვიხილავთ, როცა საქმიან მუშაობას მოვრჩებით ხოლმე.

ბ. გზათა მინისტრმა ახმეტელის შეკითხვას საფუძვლიანი პასუხი ვერ გასცა, მან მხოლოდ გვიამბო, თუ როგორ ვერ შემოიტანა პური 17 ადგილიდან, მეორეჯერ კი სთქვა თუ შემდეგ როგორ ვერ შემოიტანს პურს. მე არ ვიტყვი სასურსათო სამინისტროში პანამა არის მეთქი, მაგრამ არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ იქ საქმე კარგად ვერ არის დაყენებული, მაგ. ვიღაც აივაზოვს 80 ათასი მან. ჩეკი გადაუხურდავეს—პურს შემოვიტანო—ხოლო საწინდრად 5 ათასი მანეთი გამოართვეს. ეს მოქმედება მოსაგებია? არა მგონია. რათ მოხდა ისე, რომ ტაგიევს 2 ვაგონი შაქრისათვის მოსთხოვეს ორი ვაგონი პურის შემოტანა, ხოლო ნარსიას 2 ვაგონი შაქრისათვის 10 ვაგონი პურის შემოტანა?

შემდეგ ორატორი ეხება თვით სამინისტროს პოლიტიკას და ამბობს, რომ ეს სისტემა საშინელ მდგომარეობას ქმნისო. გაბაშვილს არც ახალი საბჭო მოსწონს, ის ამბობს, რომ ვერც ეს საბჭო გააკეთებს რამესო. ორატორი ეხება იმ გარემოებას, რომ პური დამალულია, ბაზარში არ გამოაქვთ და ამბობს: ყველაფერი ეს მიწის დეკრეტის ბრალია; თავად-აზნაურებისათვის მიწა რომ არ ჩამოგერთვათ, ისინი ძალის საშვალებით პურს შეიძენდენ და შემდეგ ბაზარში გამოიტანდენ გასაყიდათ, მიეცით გლეხებს მიწები; (მიუთითებს სოც.-დემოკრატებისაკენ), მაგრამ ხომ ხედავთ პური არ გამოაქვთო. არის თუ არა რაიმე საშვალება ამ სიძვირესთან საბრძოლველათ? (ეს საკითხი ორატორმა სამჯერ დასვა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. შეიძლებოდა მხოლოდ ასეთის დასკვნის გამოტანა, თუ მემამულეებს მიწებს დაუბრუნებთ, მაშინ შესაძლებელია პური გვქონდესო).

**პ. ქავთარაძე** (ალიონ.) აცხადებს, რომ ჩვენი ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს მთავრობას და მზათ არის მას ყოველგვარი დახმარება გაუწიოს, მხოლოდ არ შეუძლია ფრაქციას არ გამოსთქვას მწუხარება იმ გარემოების გამო, რომ ჩვენს მთავრობას გარს შემოხვევია მუშლიავით მავნე ელემენტები და მოქმედებაში ხელს უშლიან. ორატორი ეხება ბ. ახმეტელის შეკითხვას და ამბობს, რომ ასეთი დასაბუთებული შეკითხვა ჯერ საბჭოში სულ არ შემოსულაო. ეს დაამტკიცა მთავრობის თავმჯდომარემ თავის განცხადებით. ახმეტელმა სთქვა, რომ რევიზიის მოსახდენათ დაინიშნა ისეთი პირი, რომელიც თვითონ სასურსათო საქმეშია ჩაბმული და თავის ამხანაგებს ჯეროვანად ვერ გაასამართლებსო. ეს სრული სიმართლე იყო. რევიზორად დაუნიშნავთ ალ. ჯაფარიძე ეს შეუძლებელია. ის თვითონ ამ სასურსათო საქმეში მუშაობს, ისედაც შეუფერებელი კანდიდატია. ეხლა კი ის გამოუცვლია მთავრობას და მოსალოდნელია რევიზია ნაყოფიერი იყვეს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ხშირად იცი, დარწმუნებული ხარ, რომ ესა თუ ის ბოროტება ხდება, მაგრამ ფაქტებით არ შეგიძლია დაამტკიცო. მაგ. ქუთაისის გუბერნიაში არის ერთი სასურსათო სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობაა დამალული საქონლის აღმოჩენა და მოგროვება, ის კი პირიქით, დადის და ეუბნება ვაჭრებს, საქონელი გადამალეთ და შემდეგ უფრო აწეულ ფასებში გაყიდითო. მე ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფაქტს ადგილი აქვს, მაგრამ მისი დამტკიცება საბუთებით ხელში არ შემიძლია, რადგანაც სასამართლოს წინაშე არც ვაჭარი იტყვის ამას და არც ის რწმუნებული. უბრალო საუბარში ნაცნობთან კი შეიძლება სთქვასო.

სასურსათო მინისტრმა შეკითხვაზე მსჯელობის პირველ დღეს განაცხადა, რომ უნდა მოხდეს სასურსათო სამინისტროს რეორგანიზაცია და ახალი გეგმით უნდა ვაწარმოვოთ სასურსათო პოლიტიკაო. იმის შემდეგ ჩვენ ველოდით შესაფერ კანონ-პროექტის წარმოდგენას ეროვნულ საბჭოში, მაგრამ ეს თვითონ მთავრობას გადაუწყვეტია. რასაკვირველია, ეს არ არის კარგი. სასურსათო საქმის პოლიტიკის შესახებ აუცილებლად უნდა გამოეთქვა თავისი აზრი პარლამენტსო.

**ნ. ჟორდანია.** სამწუხაროდ დღეს აქ არ არის ჩვენი სასურსათო სამინისტროს წარმომადგენელი, რომ გასცეს პასუხი ორატორებს. მხოლოდ მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა დღევანდელი დებატების შესახებ, აქ ბ. ქავთარაძემ სთქვა, რომ ახმეტელის შეკითხვა იყო ერთად ერთი დასაბუთებული შეკითხვა, იმ შეკითხვებთა შორის, რომელნიც საბჭოში იქნა შემოტანილიო, ეს დაამოწმა მთავრობის თავმჯდომარემ და მინისტრმა ლორთქიფანიძემო, მაშინ, როცა მე წინა სხდომაზე განვაცხადე, რომ ბ. ახმეტელმა სთქვა ის, რაც ჩვენ ვიცოდით, და ახალი, რაც სთქვა სიმართლეს მოკლებული იყო მეთქი. ამ ახალის დამამტკიცებელი საბუთი მე დღეს აქ არ მომისმენია, რჩება ის, რაც ჩვენ კარგი ხანია ვიცოდით. ბ. ახმეტელს შეეძლო მთავრობის კანცელარიაში შესულიყო, გადაეშალა ქაღალდები და რაც თვითონ სთქვა იმას იქ იპოვიდა. მთავრობა თვითონ აღიარებს და ამბობს, რომ ეს საქმე რთულია, ძნელია, ჩვენ ვსცადეთ ერთი საშვალება, მეორე, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოდგა, საქართველოს თავისი პურით არასოდეს არ უცხოვრია (ვეშაპელი ადგილიდან: მჭადით?) არც მჭადით. მას შემოქონდა სხვა პროვინციებიდან (დღეს კი ეს პროვინციები ცალკე რესპუბლიკებად გადაიქცენ), დღეს კი ეს პოლიტიკური მდგომარეობისა გამო შეუძლებელი ხდება. რომ არ ყოფილიყვენ იქ ყაზახები, აქ ოსმალები და სხვა, მაშინ მოხერხდებოდა პურის შემოტანა. აქ გამოვიდა ბ. გაბაშვილი და სთქვა, რომ რატომ მიეცით მაზმანოვის ჯგუფს და არა სხვასო. ჩვენ განვიხილეთ ორივეს პირობები და უფრო ხელსაყრელად დავინახეთ მაზმანოვის და მისი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულობა. მე აქ ვსთქვი, რომ ყველა პირობებში არის მხოლოდ ერთი პირობა—მაზმანოვის, რომელიც არ არის საზარალო. მაზმანოვის ჯგუფმა კიდევაც მოახერხა პურის შეძენა, მხოლოდ ირანის მთავრობა არ ანებებს ჯერ-ჯერობით გამოსატანად. თუ ჩვენ პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლებები ვერ დავსძლიეთ, მაშინ ის პურის შემოტანას ვერ მოახერხებს.

ბ. ქავთარაძემ სთქვა, რომ რევიზიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ისეთი პირი, რომელიც ამ საქმეს ჯეროვანად ვერ წაიყვანდა და ამ საქმისთვის შეუფერებელი კანდიდატი არისო. მე რევიზორად დავნიშნე ალ. ჯაფარიძე, იმას ვიცნობთ როგორც სასტიკ ადამიანს, რომელიც ერთ კაპიკს არ დაანებებს სხვას და არც თვითონ უნდა სხვისი, კერძო საქმე იქნება ეს თუ საზოგადო, ვიცოდით აგრეთვე ისიც, რომ იმან არ დაინდო არც თავისი ამხანაგები და ბოროტმოქმედებისათვის ისინი დაიჭირა. ბ. ქავთარაძეს ის არ მოსწონს და წერილიც მოათავსა „ალიონში“, მაგრამ არც ამ ტრიბუნიდან, არც იმ თავის წერილში გარკვეულად არაფერი უთქვამს, რომლის მიხედვით შეუძლებელი იყო ჯაფარიძის დანიშვნა. ის მე თუ გადავაყენე, არა იმიტომ, რომ შეუფერებელი კანდიდატი იყო, არამედ ავადმყოფობის გამო. თუ ბ. ქავთარაძეს აქვს მის შესახებ საბუთები, მაშინ მოვალეა საბუთები წარმომიდგინოს.

აქ ბევრს ლაპარაკობენ სასურსათო პოლიტიკაზე. თქვენ იცით, რომ ჩვენში იყო პურის მონოპოლია, ის ცხოვრებაში ძნელი გასატარებელი შეიქნა, მონოპოლია მოვსპეთ და შემოვიღეთ თავისუფალი ვაჭრობა, რადგანაც ხალხს ეგონა, რომ თუ თავისუფალი ვაჭრობა იქნებოდა ბევრ პურს შემოიტანდენ და პური გაიაფდებოდა. ამ მიმდინარეობას ჩვენ ანგარიში გავუწიეთ და სანიმუშავოთ შემოვიღეთ პურის თავისუფალი ვაჭრობა. როგორც ხედავთ, არც ამ ზომამ გასჭრა. ახლა საჭირო შეიქნა პოლიტიკის შეცვლა. ჩვენ ახლა იმედი გვაქვს, პურს შემოვიტანთ ყუბანის ოლქიდან, თუ იქიდან პურის შემოტანა ვერ მოვახერხეთ, მაშინ სხვა გზა და საშუალება უნდა ვეძიოთ. ამ საკითხის გადაჭრა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ პასუხს მოგვცემს ყუბანის მთავრობა.

სასურსათო პოლიტიკის საწარმოებლად, ცხადია, საჭირო არის ორგანიზაცია. ჩვენ დავინახეთ საუკეთესოდ, რომ საჭირო არის ამ ორგანიზაციაში შევიდეს ყველა სურსათის საქმეში დაინტერესებული ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, როგორიც არიან: კოოპერატივთა კავშირის, ქალაქთა კავშირის, ქ. ტფილისის, რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სასურსათო განყოფილების და სხ. თუ ჯერაც არ შესდგა ეს საბჭო, იმიტომ, რომ არის ერთგვარი უთანხმოება თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ. ეს დავა მგონია ამ დღეებში დამთავრდება და საბჭო შეუდგება თავის საქმეს.

როგორც ხედავთ, სურსათის საკითხი—ეს დიდი კითხვაა და ჩვენ ვეძებთ ახალ პოლიტიკას და გზებს. აქ გამოდიან ზოგიერთები და იბრძვიან ქარის წისქვილებს, არც ცნობა, არც ახალი წინადადება მათ არ შემოაქვთ (ტაში).

წინადადება შემოდის კამათი სიგვიანის გამო გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.

**ი. წერეთელი.** მე წინააღმდეგი ვარ კრების გადადებისა, საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ სამი დღეა, რაც ამაზე მსჯელობაა. განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკეს ნაციონალ-დემოკრატებმა, საკითხი ამოწურულია, თუ კი გადავდევით, მაშინ ჩაეწერებიან ახალი ორატორები, მინისტრიც იძულებული იქნება უპასუხოს და საქმე ტყუილად გაჭიანურდება მე შემომაქვს წინადადება ლაპარაკის დრო განისაზღვროს 10 წუთით.

საბჭომ წერეთლის წინადადება მიიღო.

**აკ. პაპავა** (ს.-ფ.) ბ. ახმეტელის შეკითხვა მაშინ იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ მას რაიმე ახალი გეგმა წარმოედგინა სასურსათო პოლიტიკისა. მან მხოლოდ ჩვენი პარლამენტი გადააქცია იურიდიულ კომისიად, სადაც დაიწყო ხელშეკრულებათა განხილვა-გარჩევა. სასურსათო საკითხი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მოგვარებულია, მხოლოდ ობიექტიური პირობები ხელს უშლიან მთავრობას განახორციელოს თავისი მიზნები ამ დარგში. სხვა დაბრკოლებათა შორის აქ უმთავრესი აზრი და მნიშვნელობა აქვს ფინანსიურ კრიზისს. ორატორი ეხება რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობას და ამბობს, რომ ეს ფინანსიური კრიზისი ჩვენ გადმოგვცა ძველმა რუსეთმა. რუსეთს ორი საშუალება მაინც ჰქონდა ისეთი, რომელსაც საქართველო მოკლებული არის.—ეს არის შინაური სესხი და სხვა. (ორატორს ლაპარაკის დრო გაუთავდა და სიტყვა არ დაუსრულებია).

**აკ. ფალავა** (ს.-ფ.) ჯაფარიძე ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეა დი ამიტომ არ შეიძლებოდა მისი დანიშვნა. ახალი ორგანიზაცია, რომელიც უნდა შესდგეს და რომელსაც ევალება სასურსათო საქმის მოგვარება, საქმეს, ჩვენის აზრით, სულ არევ-დარევს, საქმე ფორმაში არ არის, საქმე შინაარსშია. მალ-მალე ცვლილება საქმეს ვნებს. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ საჭიროა ამ კათედრიდან ყოველთვის აღიარებულ იქნას ის ნაკლულევანებანი, რომელიც აქვს მთავრობას, ეს საქმისათვის აუცილებლად საჭიროა და დიდ ნაყოფს მოგვიტანსო.

**ა. ფარნიევი** (ს. დ.). ახმეტელის შეკითხვა, რომელიც საბჭოს წევრ ქავთარაძეს ჩვენი სახელმწიფოს განსაკურნავ მალამოთ მიაჩნია, იმდენათ უმნიშვნელო, უშინაარსოა, რომ თვით მემარჯვენეებიც არ უგდებენ ყურს და მათი სკამები ცარიელია. შეკითხვას მიზნათ სულაც არა აქვს სასურსათო საკითხის უკეთ მოწყობა, არამედ ერთი სპეკულიანტის მაგიერ მეორეს გაბატონება. ჩვენ გვაინტერესებს სურსათის საკითხის უკეთ მოწყობა და არა სპეკულიანტების ინტერესები.

ახმეტელის შეკითხვა სამად უნდა განაწილდეს: სასურსათო საქმეში ბოროტმოქმედება, დადებულ ხელშეკრულებათა უვარგისობა და სურსათის შეძენა მოტანის მომწყობ ორგანოს შექმნა. ყველაფერი ეს მთავრობამ უკვე მოაწყო, დაატუსაღა ბოროტმოქმედნი, შესცვალა უვარგისი ხელშეკრულებანი და შექმნა სასურსათო საქმის მომწყობი საბჭო და ამის შემდეგ ბ. ახმეტელი ეკითხება მთავრობას, იცი თუ არა ის, რაც გუშინ და გუშინწინ გააკეთეო.

საბჭოს წევრმა გაბაშვილმა მთავრობის გეგმა დაიწუნა, იგი ემდურის მთავრობას, რათ დაამწყვდიეთ ნარსია, რომელმაც გაყიდა შაქარი და ფული მიისაკუთრა, რატომ ხოშტარიას არ შეეკარით ხელშეკრულებით, თუგინდ ცუდ პირობებშიო, რატომ დაგჭირდათ სასურსათო საქმეში კოოპერატივების და ქალაქების წარმომადგენლების ჩარევა, მათი საქმეში ჩარევა სასურსათო საქმეს უფრო დაშლის და ამიტომ საჭიროა ისეთი სამინისტროს შექმნა, რომელსაც უკეთესათ შეეძლოს საქმის მოწყობაო. ჩვენ არ ვიცით რომელ სამინისტროს შექმნას თხოულობენ ეროვნულ დემოკრატები; ვიცით ის, რომ მათ არ მოსწონთ ჩვენი მთავრობა და ის ორგანიზაციები, რომლებთანაც ერთად მუშაობა დაისახა მიზნათ ჩვენმა მთავრობამ. მართალია უწინ თავად აზნაურობას შემოქონდათ ბაზარზე სურსათი, რომელსაც გლეხებს ართმევდენ ძალის სახით და მათ ზურგს უმაგრებდა მაშინ თვითმპყრობელობა და ახლა შეიძლება ეროვნულ დემოკრატებს სურსათის საქმის ამ „გამოცდილ“ თავად აზნაურობისთვის გადაცემა სურთ. ჩვენ კმაყოფილი ვართ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯით სურსათის საქმის მოსაწყობათ და თუ ეროვნულ დემოკრატებს მაინცა და მაინც დაუსახავთ მიზნათ ებრძოლონ მთავრობას და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ამის შესახებ კიტყვი ქართულ ანდაზას „მგლისაგან დაშინებული ძაღლი ოთხი წლიწადი უყეფდა ჩირგვსაო“ (ვეშაპელი და გაბაშვილი ადგილიდან: „ოსებს მოუარი, ოსებს, იმათ ხომ ბევრი იარაღი აქვთ, ხომ ებრძვიან მთავრობას“), მართალია ოსებს აქვთ იარაღი, მაგრამ ისინი მთავრობას არ ებრძვიან, ოსები კი გაიმართლებენ თავს თქვენი ბრალდებებისაგან, მაგრამ თქვენ კი ვერ გაიმართლებთ თავს ბატონი გელოვანი, შარაშიძე და მათგვარი თქვენი მომხრეების მოქმედებაში.

**პ. ქავთარაძე.** მე ჩემს სიტყვაში ალ. ჯაფარიძისათვის ბრალი არ დამიდვია, მხოლოდ აღვნიშნე, რომ ის სასურსათო საქმეში მუშაობს და იმავე საქმის რევიზორად არ უნდა დანიშნულიყო მეთქი.

**ნ ჟორდანია.** აქ პ. ქავთარაძემ სთქვა, რომ რომელიმე უწყების მოხელე, ან წარმომადგენელი არ შეიძლება დაინიშნოს რევიზორათ იმავე უწყებაშიო. როცა მე ის დავნიშნე რევიზორათ, მაშინ ის სასურსათო კომიტეტში არ მსახურობდა, და თუ დავნიშნე ეს იმიტომ, რომ ის გამოცდილი კაცი იყო და მისი მუშაობა ნაყოფიერი იქნებოდა.

წინადადება შემოდის კამათის მოსპობის შესახებ. კამათი მოისპო. საბჭომ მიიღო სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა შეკითხვა სურსათის საქმის შესახებ და მთავრობის პასუხი, საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ მთავრობას საკუთარი ინიციატივით მიუღია ჯეროვანი ზომები და დაუნიშნავს რევიზია სასურ. საქმის, რესპუბლიკის და ხალხის ინტერესების დასაცავად და დარწმუნებული, რომ მთავრობა მთელი თავისი ძალით განახორციელებს მის მიერ აღნიშნულ ზომებს ამ დარგში გამეფებულ ბოროტების აღსალაგმავად, უცხადებს ნდობას მთავრობას და გადადის მორიგ საკითხებზე“.

ა. სიგუა.

---

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს-დეპეშათა-სააგენტოსი).

2 ოქტომბერი.

**მოსკოვი.** [illegible] ნი: ბერლინი. კოალიციონური სამინისტროს პროექტში შემდეგი კომბინაცია შეიძლება მოეწყოს: კანცლერად იქნება ლიბერალი ფონ პაიერი, ვიცე კანცლერი და შინაგან საქმეთა მინისტრი სოციალ-პატრიოტი ებერტი, ფინანსთა მინისტრი სოციალ პატრიოტი ზუდეკუმი, ვაჭრობის მინისტრი ლეგინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ცენტრის წევრი ერცბერგერი ან და ნაციონალ-ლიბერალი რინცგოფენი.

„ფოსსიშე ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ ბულგარეთის წინადადება გამოწვეულია არა სამხედრო დამარცხებით, არამედ როგორც შედეგი იმ სოციალური ბრძოლისა, რომელიც ბოლშევიზმა რუსეთში შეიტანა. გერმანიის პრესა მოითხოვს ბულგარეთის და კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გზის დაკავებას.

ფინლიანდიის სენატში თავმჯდომარემ ოფიციალურად განაცხადა, რომ დელეგაციამ გერმანიაში მიმართა მხოლოდ ერთ პრინცს ფრიდრიხ-კარლოსს გესსენლს, სხვებთან არავითარი მოლაპარაკება არ სწარმოებდა.

**ბერლინი** „ნორდ დოიჩე ალლგემაინე-ცაიტუნგ“-მა გამოაქვეყნა ჰოლანდიის მთავრობის ცნობა, რომ დედოფალი ვილჰელმინამ ავსტრო-უნგრეთის რწმუნებულის წინადადების თანახმად დაუთმო თავისი რეზიდენცია საზავო მოლაპარაკებისათვის ბურიანის ნოტის სახით. ამით დედოფალმა დაამტკიცა, რომ გერმანია არ იქნება წინააღმდეგი ზავის ჩამოგდებისა.

**ბერლინი.** ბულგარეთმა შეთანხმების სახელმწიფოებთან შეჰკრა სეპარატიული ზავი იმ პირობით, რომ სულ ჩამოშორდეს გერმანიას და კერძოდ ხელი შეუშალოს ოსმალეთთან კავშირის დაჭერას.

**ტრანს-ოკეანეს პრესის ცნობები.**

ამ პრესის კორესპონდენტს ჰქონდა საშუალება ესაუბრა ტყვე ფრანგებთან, ის შემდეგნაირათ მოგვითხრობს ტყვე ფრანგების შეხედულებების შესახებ: ტყვეები მეტად სკეპტიკურად უცქერიან შეთანხმების სახელმწიფოთა გამარჯვებებს. ფრანგებს მეტად ბევრჯერ გასცრუებიათ იმედი, რომ ეხლა აღფრთოვანება დაეტყოთ. რასაკვირველია, ისინი მეტად ემადლიერებიან ამერიკელებს, მაგრამ ესეც არ კმარა მათში ამ გრძნობის გამოსაწვევად. მხოლოდ ფრანგთა ლაშქარს შეუძლია თავის ცოდნით წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანელებს, მაგრამ ეს ლაშქარი ისეა სულიერად დაცემული, რომ მისი უმრავლესობა მოითხოვს ზავს, ზავს საპატიოს და არა შოვინისტურს. ამ ზავისაკენ ავსტრიამ უკვე გადასდგა ნაბიჯები. საფრანგეთის მთავრობას ეს წინადადებანი უნდა განეხილა, ასე რომ კატეგორიული უარი მას უფრო ავნებს, ვიდრე სარგებლობას მოუტანს. ეს უარი უფრო ასწევს კავშირის სახელმწიფოთა მასსის სულიერ მდგომარეობას. შეთანხმების სახელმწიფოებმა ფიცი დასდეს, რომ არ გადაუხვევენ იმ პირობებს, რომლებიც ვილსონმა გამოიმუშავა. ყოველ შემთხვევაში მკაცრი ნოტა ვილსონისა უარყოფით შეხედულებას იწვევს. ვილსონს უსაყვედურებენ, რომ იგი დიქტატორია.

ვიღაც ბულგარეთის საქმეების ძალიან მცოდნე „ნორდ ალგ-ცაიტუნგის“ ფურცლებზე იძლევა ახსნას ბულგარეთის ამბების შესახებ. ის ხსნის მის მოულოდნელ ნაბიჯს ქვეყნის სულიერ განწყობილების შედეგათ. სკეპტიკურად უნდა უყურებდეთ ხმებს, რომელიც შეთანხმების სახელმწიფოების პრესამ გაავრცელა სეპერატიულად საზავო მოლაპარაკების შესახებ. ყოველ შემთხვევაში საზავო წინადადებას მიზეზობრივი კავშირი არ აქვს მასთან. სამი პარლამენტიორის სახელი ნათლათ გვანახებს. რომ ეს უმნიშვნელო პარტიის საქმეა. რომ დელეგაციაც წასულიყო, ამ შემთხვევაშიაც არ შეიძლებოდა ის მთელი ბულგარეთის ყველა პარტიის წარმომადგენლათ ჩაგვეთვალა, ლაპარაკიც ხომ არ შეიძლება ლეგალურ მთავრობაზე და მთელ ბულგარეთის ხალხზე ბულგარეთის პატრიოტები მოიგონებენ 1913 წელს და დაინახავენ იმ ორმოს, რომლის წინ იქნებიან, თუ შეთანხმების სახელმწიფოებს მიენდვენ, ძალიან საყურადღებოა ავტორიტეტულ გერმანული პარტიის დეკლარაცია, რომ გერმანიის და ავსტრო უნგრეთის ჯარები წავლენ ბულგარელ ამხანაგების დასახმარებლათ. ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ცნობა გვატყობინებს, რომ მათი ნაწილები დაჩქარებით იწყებენ დაცვას... (გამოტოვებულია) ოხრიდის ტბის დასავლეთით. გერმანია გამოსთქვამს სრულ შესაძლებლობას თავის ძლიერი სამხედრო ძალა დაახმაროს საშიშროებაში მყოფ ამხანაგებს. ეს გულითადი დახმარება აჩვენებს ბულგარელებს, რომ ის რაც მთელი წლების ომიანობის დროს იყო შენარჩუნებული, ერთ კვირის განმავლობაში არ უნდა იქნას უკუგდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის და ჯარის ყველა საღი ელემენტები შეერთდებიან, შესაძლებელია მიაღწიონ წინანდელზე უფრო მტკიცე კავშირს.

3 ოქტომბერი.

**მოსკოვი.** ც. აღმ. კ—ტის ბიულეტენი: აღმოსავლეთის ფრონტი. კაშის აღმოსავლეთით ჩვენმა რაზმებმა წინ წაიწიეს. ვლადივოსტოკიდან გვატყობინებენ, რომ ხაბაროვსკის აღების შემდეგ მოკავშირეთა ჯარებმა იწყეს სვლა მდინარე ამურით. ჩინეთის გზას იცავენ: იაპონელები, ჩინელები და ჩეხები.

**ნოვოჩერკასკი.** სამხედრო ოლქმა ძალა-უფლება, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო და საკანონმდებლო ჩააბარა გენერალ კრასნოვს.

**პენზა.** ომსკიდან იტყობინებიან, რომ ჩეხების უფროსად დაინიშნა ფრანგი გენერალი კანი, რომელიც რუსეთში მოემგზავრება.

**ბერლინი.** გენერალ ესპრემ და ბულგარეთის რწმუნებულმა ხელი მოაწერეს დროებით შერიგებას მიღებულია მოკავშირეთა მიერ წამოყენებული პირობები. სამხედრო მოქმედება შეწყდა.

ვიცე-კანცლერი ფონ-პაიერი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა პარტიებთან, შეაგროვა კონფერენცია პარლამენტარული რეფორმების შესახებ. კონსერვატორები და დამოუკიდებლები გამოსთქვამდენ აზრს, რომ შეადგინონ უმრავლესობის კაბინეთი. კოალიციონური სამინისტროს შექმნის საკითხი უარყოფილია. სდგება კაბინეთი უმრავლესობისაგან. ნაციონალ ლიბერალებმა არ იციან შევიდენ თუ არა კაბინეთში თუ პორტფელი გადასცენ შეიდემანელებს. დაადგინეს, რომ მინისტრებს არ შეუძლიანთ იყონ კავშირის საბჭოს წევრებათ. სამოქმედო პროგრამის საფუძვლად მიიღეს ს.-დ. პირობები. უნდა ვიფიქროთ, რომ შეიდემანელები ბურჟუაზიულ პარტიების მიმართ დათმობის გზას დაადგებიან.

**სტოკჰოლმი.** პარიზის გაზეთებში ცნობაა, რომ ბულგარეთის საკითხი შეთანხმების სახელმწიფოთა სამხედრო საბჭოში ირჩეოდაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგის ნაციონალ-ლიბერალურმა პარტიამ მიიღო რეზოლიუცია, რომ პარლამენტარულად მოეწყოს მთავრობა. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ სტატს სეკრეტრები მუდმივ იღებდნენ მონაწილეობას, როგორც სახელმწიფო საქმეებში ისე სახელმწიფოს პოლიტიკაში. შინაურ საქმეების შესახებ პარტია მოითხოვს სასწრაფოდ მოწესრიგდეს პრუსიის საარჩევნო რეფორმა, მოწესრიგდეს აგრეთვე საკითხები, რომელნიც ეხებიან ცენზურას და სამხედრო წესდებას და სამხედრო ადმინისტრაციაში დაპყრობილ ადგილებში შეცვლილ იქნას სამოქალაქოთი. საგარეო პოლიტიკაში კი—ზავს იმ საფუძველზე, რომ იმპერიის საზღვრები დარჩეს ხელუხლებლად, გერმანული კოლონიები დაბრუნებულ იქნას, აღდგენილ იქნას ბელგიის დამოუკიდებლობა, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა მისი ნეიტრალიტეტის და ფლამანიაში მცხოვრებთა უფლებების დაცვა თვითგამორკვევის საფუძველზე. შემდეგ წამოყენებული იდეა მუდმივი ზავისა, და არის მისალმება ხალხთა ლიგის და ზღვების თავისუფლად სარგებლობის უფლებისა.

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. მიუხედავათ ცუდი ამინდებისა მთელს დასავლეთის ფრონტზე 26 სექტემბერს შემჩნეული იყო გაცოცხლებული საავიაციო მოქმედება ორივეს მხრით. გამარჯვება ჩვენს მხარეზე იყო.

# ახალი ამბები

**ალაგირის ქართველობა.** შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა ალაგირის ქართველების წარმომადგენელი ი. გ. ჟუნგაძე და სთხოვა ალაგირის ქართველების დაცვა ოსების თავდასხმისაგან. მინისტრი სრულს დახმარებას დაჰპირდა დელეგატს და საქმის შესახებ მოახდინა სასწრაფო განკარგულება.

✦ **ლტოლვილთა რაოდენობა საქართველოში.** სომეხთა ეროვნულ საბჭოსთან (საქართველოში) არსებულმა ლტოლვილთა განყოფილების გამგეს ცნობით საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში ითვლება 150,000 ლტოლვილი.

✦ **ნახშირის დამუშავება ტყიბულში.** გზათა სამინისტროს ყოველ დღე მოსდის ცნობები ტყიბულში ნახშირის დამუშავების რაოდენობის შესახებ. ცნობებიდან სჩანს, რომ ყოველ დღე მუშავდება და იგზავნება სხვადასხვა სადგურებში 20 ვაგონი მსხვილი, 1—2 ვაგონი საშუალო და 20 ვაგონამდე წვრილი ნახშირი.

✦ **ბორჩალოს მაზრის კომისარმა** მოახსენა გუბერნიის კომისარს, რომ ადმინისტრატიული განყოფილება გადატანილ იქნას შულავერიდან გერმანელთა კოლონიაში, ეკატერინენფელდში.

✦ **მოსავალი ყარაიაზში.** ყარაიაზიდან თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას ეტყობინებენ, რომ მუშა ხელის ნაკლებობის გამო თითქმის მთელი მოსავალი დაილუპა.

✦ **ფოთი.** ფოთიდან ქალაქის თავის მოადგილე კორძაია ატყობინებს მთავრობას, რომ გერმანელ ნავთსადგურის კომენდანტმა ჩაიბარა ყველა სახაზინო და ქალაქის გემები და დააყენა თავისი დარაჯები ყველა ნავთსადგურებსა და სახაზინო ქონების საწყობებში. ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს მთავრობას სასწრაფოდ გამოარკვიონ და აცნობონ მათ, როგორ მოიქცენ.

✦ **სასურსათო სამინისტროსთან არსებულ რაზმის წინააღმდეგ.** რკ. გზის მილიციის უფროსი ეპიტაშვილი დეპეშით ატყობინებს გზათა მიმოსვლის მინისტრს, რომ სხვადასხვა სადგურებიდან მას მოსდის საჩივრები სასურსათო სამინისტროს რაზმის მოქმედების შესახებ, რომელიც ერევა რკინის გზის აგენტების საქმეში, ანგარიშს არ უწევს რკინის გზაზე არსებულ კანონებს და ზოგჯერ ძალასაც კი ხმარობს. მილიციის უფროსი სთხოვს მინისტრს განკარგულება მოახდინოს, რომ რკინის გზის საქმეში გარეშე პირი არ ჩაერიოს, აგრეთვე დაიცვას რკინის გზის მოსამსახურეები ძალადობისაგან.

✦ **სომეხთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა** ჯამალიანმა სთხოვა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ მან დახმარება გაუწიოს საერთაშორისო რკინის გზის კომისიის მუშაობის აღდგენას, რომლის პირველი სხდომა 3 სექტემბერს მოხდა. აგრეთვე მოწყობილ უნდა იქნას სამგზავრო და საბარგო მატარებლის წესიერი მიმოსვლა კავკასიის გზებზე. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ კომისიის სხდომა აღდგენილ იქნება მაშინვე, როგორც თფილისში დაბრუნდება ბ. ჯაფაროვიო.

✦ **აბასთუმანის სამკითხველო:** გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საქართველოს სამხედრო წარმომადგენელს ბათუმში, გამოარკვიოს კითხვა, აბასთუმანიდან ბათუმში ყოფილ დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სამკითხველოს გადატანის შესახებ.

✦ **საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა საზოგადოება.** 29 ენკენისთვეს შესდგა ამიერ-კავკასიის საბეითალო საზოგადოების წევრთა ყრილობა. აქ დაისვა და საბოლოოთ გადაიჭრა კითხვა ამ საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. ხმის უმეტესობით გადაწყდა ამიერიდან ეს საზოგადოება იწოდებოდეს „საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა საზოგადოება“. იქვე იქნა ამორჩეული ექვსი კაცისაგან შემდგარი დროებითი გამგეობა ძველი გამგეობისაგან ქონების მისაღებად, წესდების გადასასინჯავად და საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა ყრილობის მოსაწვევად. დროებით გამგეობაში იქნენ ამორჩეული შემდეგი პირნი: ვლ. ლაშხაური, კ. ატრენი, ს. ახმეტელაშვილი, დ. ახმეტელაშვილი, შ. დედაბრიშვილი და მ. მირიანაშვილი.

✦ **უმუშევართა აღწერა.** უმუშევართა დახმარების მიზნით შრომის სამინისტრომ 6 და 7 ოქტომბერს დანიშნა თფილისი მუშების საერთო აღწერა. ქალაქი დაყოფილია 7 რაიონათ.

✦ **ქართული იურიდიული საზოგადოება** კვირის, ღვინობისთვის 6 ს, თფილისის სასამართლო პალატის დარბაზში გაიმართება საორგანიზაციო კრება ქართულ იურიდიულ საზოგადოებისა. ქართველ იურისტთა პირველ კრებაზე არჩეულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა წესდების პროექტი და ეს უკანასკნელი წარედგინა დასამტკიცებლად ხსენებულს კრებას. იგივე კრება აირჩევს იურიდიულ საზოგადოების პირველ საბჭოს (გამგეობას). კომისია მოუწოდებს ყველა ქართველ იურისტებს დაესწრნენ საორგანიზაციო კრებას. წინასწარი გაცნობა წესდების პროექტისა შეიძლება იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში ყოველ დღე 10—3 ს.

✦ **ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 1 ხოლერიანი და 2 საეჭვო. გამოიწერა 2 კაცი, მოკვდა 3. 2 ოქტომბერს დარჩა 67 ხოლერიანი და 7 საეჭვო ავადმყოფი.

✦ **მადლობის გამოცხადება.** თფ. ომში დასახიჩრებულთა საზოგადოების გამგეობა მადლობას უცხადებს 4-ე ქართული პოლკის 7-ე ასეულის ჯარის კაცებს, რომელთაც კავშირს შესწირეს ასი მანეთი.

✦ **აღმოჩენილი საქონელი.** საბურთალოს კომისარიატის მიერ აღმოჩენილი საქონელი, რომელიც ინახებოდა კარტინაძესთან, ბასილოვთან, კარსელაძესა და ჩარჩიანელთან, გაიყიდა საგუბერნიო სასურსათო წარმომადგენლის თანადასწრებით, რადგანაც აღმოჩენილი ქონება შეადგენდა ზემგორის საკუთრებას. ფული წარედგინა დანიშნულებისამებრ. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

✦ **დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა განსაკუთრებულმა რაზმმა შაქრისა და სხვა სანოვაგის სპეკულიანტობისათვის დაატუსაღა ალ. კონჯ·რია.

✦ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს უკანასკნელად ეგზავნება გაზეთები: საჭილაოში—ჩიგოგიძეს, ხიდისთავში—ს.-დ. ორგანიზაციას და ნატანებში—ქინქლაძეს. კანტ. „განათლება“.

✦ **სასწავლებელში.** ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდა გრძელდება თუთხმეტ ოქტომბრამდე. ამასთანავე გიმნაზიასთან ახლად იხსნება საანბანო განყოფილება თხოვნები მიიღება 15 ოქტომბრამდე.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, 4 ოქტომბერს, სალ 7 საათზე დანიშნულია პროფესიონალურ კავშირების საბჭოს კრება. გასარჩევია საყურადღებო კითხვები. კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

---

**ქართულ გერმანულ კულტურული საზოგადოების ლექცია.**

კვირას 29 ენკენისთვეს ზემოდხსენებულმა საზოგადოებამ გამართა გერმანულ ენაზე ძრიელ საინტერესო ლექცია.

ბატონმა არტურ ლეისტმა გააცნო დამსწრეთ მოკლეთ, მაგრამ ხელოვნურათ ქართული პოეზია.

ის შეეხო ჩვენს ძველ მწერლობას, გადმოვიდა თამარის დროზე და შოთა რუსთაველის დიად მნიშვნელობაზე. ალი არა, რომ 12-ე საუკუნეში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება ყვაოდა და უმაღლეს წერტილამდე აღწევდა.

ახსნა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა ჩვენი მწერლების მოღვაწეობა-მნიშვნელობა ქართულ პოეზიისთვის. შეეხო თუ რა ზარალი და ცუდი შედეგები ქონდა ქართულ მწერლობა პოეზიისათვის რუსეთის რეჟიმს და შევიწროებას. ხოლო მეორეს მხრით აღნიშნა რუსეთის მწერლობის დიადი და სასარგებლო გავლენა ქართულ პოეზიაზე. პატივცემულმა ლექტორმა აღგვითქვა შემდეგისათვის ჩვენი ახალ მწერლების და პოეზიის შესახებაც მოვილაპარაკებთო. ბ-ნ ლეისტის შემდეგ ბ-მა ფრ. ჰაინმა წაიკითხა გერმანულათ რამდენიმე ლექსი ქართველ მწერლებიდან. გრ. ორბელიანიდან, ნ. ბარათაშვილიდან, ი. ჭავჭავაძიდან. აკაკის ლექსმა „ქართველ ქალის სიყვარული“ დამსწრე საზოგადოება ცოტა არ იყოს გაამხიარულა.

საზოგადოთ ასეთ ლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვს და მას სარგებლობის მოტანაც შეუძლია.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი. ამ საზოგადოებას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაახლოვებას გერმანელებთან.

საჭიროა ამხანაგები მრავლად ჩაეწერონ ამ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ვინც გერმანული ენა ცოტათი მაინც იცის.

ხსენებულ ლექციას დიძალი საზოგადოება დაესწრო.

ს. დოლიძე.

# განმარტება

(შრომის სამინისტროსაგან. ცირკულიარულად).

„შრომის სამინისტროში უკანასკნელ ხანებში შემოდის მუშების განცხადება, რომ ზოგიერთი მწარმოებელნი თავისი ნებით სცვლიან მათთან დადებულ ხელშეკრულობას და შრომის პირობებს და უთითებენ იმაზე, რომ შრომის დაცვის კანონში სხვა ნორმებია მიღებულიო. ამიტომ შრომის სამინისტრო აცნობებს მუშებსა და მწარმოებელთ, აგრეთვე მათ ორგანიზაციებს, რომ არსებული კანონები შრომის დაცვისა და შრომის პირობებისა არ ართმევს მუშებს უფლებას უკეთეს შრომის პირობებში იმყოფებოდენ და ან ეცადონ მის გაუმჯობესობას. შრომის დაცვის კანონების ნორმას განსაზღვრავს მუშების უზრუნველყოფა, რის დაცვა აუცილებელია, რომ მუშათა კლასი დაცულ იქნას ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენებისაგან. ყველა ისეთი პირობები, რომლებიც დადებული იქნება მწარმოებელთა და მუშებს შორის და რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება მუშებისათვის, ვინემ შრომის დაცვის კანონების ნორმა მიღებულ უნდა იქნას და შეიძლება შეცვლილ იქნას მხოლოდ საერთო შეთანხმებით.

წარმოებაში დადებული ხელშეკრულობის შეცვლა მხოლოდ მწარმოებელის განკარგულებით უკანონოა და დარღვევაა შრომის პირობების ხელშეკრულობისა“.

# საქართველოს წითელი გვარდია

საერთოდ გავრცელებულია აზრი, რომ რუსი წითელი გვარდიელი არის არსება, რომლისაგანაც უნდა მოელოდე ყველაფერს, გარდა კეთილ სათნოებისა. საქართველოს წითელ გვარდიელზე ეს არ ითქმის. არა თუ პარტიული წრე, მცხოვრებთა მასსაც ქართველ წითელ გვარდიაში ხედავს ხალხის ნამდვილ შვილებს, რომლებიც შიშით კი არ ეწევა ნაკისრ თანამდებობას, მას ამოძრავებს რევოლიუციონური სინდისი. თვით რუსის ოფიცრობაც კავკასიაში, რომელიც თავის უმეტეს შემადგენლობით რეაქციონერია—სცნობს „წითელთა“ დამსახურებას და გვეთანხმებიან, რომ ამხ. ჯუღელის რაზმი რომ არა, კავკასიაში ყველაფერი თავდაყირა გადატრიალდებოდაო. საქართველოს წითელი გვარდიიდან (ეხლა სახალხო გვარდიათ წოდებული) ბევრს მოითხოვენ: აქ ყოველ წუთს განსაცდელ კუთხიდან ფარულათ გამოსვრილ ტყვიის გამო, ქუჩის ბანდებთან ყოველ დღიურ შეტაკებისაგანაც, აჯანყების ჩაქრობისაც და სახელმწიფოს გარეშე მტრისაგან დაცვის დროსაც როდესაც ბათუმის დაცემის დროს ჯარი თავზარ დაცემული გარბოდა თათრების შემოტევით, წითელი გვარდია იყო ერთად ერთი ნაწილი, რომელსაც პოზიცია არ დაუტოვებია და ბრძოლას განაგრძობდა. როდესაც ოსმალოები სამხრეთ-დასავლეთით უტევდენ თვით თფილისს, ამავე წითელ გვარდიას დაევალა მოწინავე პოზიციის დაკავება და უკან დახეულ რეგულიარულ ჯარის შეჩერება. ერთი სიტყვით მას გზავნიდენ ყველაზე საშიშ ადგილას, იქ, სადაც საჭირო იყო გამაგრება და დაცემულ სულის აღდგენა. უკანასკნელ რთულ აჯანყების დროს დუშეთის და ლეჩხუმის მაზრებში, მას მოუხდა ორ ნაირ განსაცდელში ყოფნა, მაგრამ ორივედან პატიოსნათ გამოვიდა.

ეს ორი უკანასკნელი შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესო ნათელს ჰფენს ქართველ მუშა-მეომარის ფსიქოლოგიას.

ანარქიულ გლეხების მასსა იარაღით ხელში წამოვიდა მცხეთაზე და დაიკავა უმთავრესი პუნქტები. მდგომარეობა იმდენათ სახიფათო იყო, (რადგანაც მცხეთა 30 ვერსის მანძილზეა თფილისზე), რომ ზოგიერთი მინისტრები გასაქცევათ ემზადებოდა. მეორეს მხრივ თვით თფილისში ბოლშევიკური აგიტაცია, სარგებლობდა რა შინაურ და გარეშე არჩეულ მდგომარეობით, ქმნიდა პოლიტიკურ გადატრიალებისთვის შესაფერ ატმოსფერას. სამხედრო დამარცხების შესაძლებლობა, რადგანაც გლეხები კარგათ შეიარაღებული იყვნენ და აფიცრები ხელმძღვანელები ჰყავდათ, კავკავიდან ბოლშევიკების შემოტევა, მასსის შიშიანობა, ბოლშევიკების უხვი დაპირებანი და გარეგნულათ მიმზიდველი ლოზუნგები—ყველა ეს თითქოს იმიტომ შეერთებულიყოს, რომ დამცველთა წრეში გულგატეხილობა და შიში შეეტანოს.

რუსეთში ამის შედეგი მათემატიკურის სისწორით შეგვეძლო წინაწინ გამოგვეყვანა, შეიძლებოდა დროის და საათის დანიშვნა, როდესაც წითელ გვარდიელები შესძახებდენ: არ გვინდა სისხლის ღვრა და გადასცემდენ თავის ლიდერებს, მთავრობას, კასას და სახალხო ქონებას გამარჯვებულთა დასაქცევათ და ასაოხრებლად. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჯუღელის მეთაურობით წითელი გვარდია გავიდა საბრძოლველათ და მოკლე ხანში დაამარცხა და გაფანტა აჯანყებული გლეხობა. ამ ექსპედიციაში ბევრი რამ გადაწყდა; მათ რაზმს ხშირათ უკან მიაძახოდენ: „ჟანდარმები, ჯალათები“, აჯანყებულთა შორის ხედავდენ ნათესავებს და ძველ ამხანაგებს. უნდა გქონოდა უძლეველი გული და სული, რომ დაგეძლია სიბრალულიც და პირადი ნაცნობობა, უნდა გქონოდა სახელმწიფოებრიობის შეგნება და მოქალაქობრიობის ვალის გრძნობა. და ეს შეგნება, რუსეთისათვის უცხო რაღაც სასწაულით აღმოაჩნდათ გარეგნულათ უდარდელ სამხრეთელებს. არა, ესენი არ გვანან ჩრდილოელებს. მათ სულში დადებულია ღრმა კვალი. რომლითაც დიდი გაჭირვების და იჭვის დროსაც არ გაშორდება აზრი. ძველი ტრადიცია, ერთხელ შეფიცულ ხელმძღვანელის ერთგულება, დიდი შეგნება და თავისებური მოვალეობის გრძნობა—ყველა ეს არის უდარდელ სამხრეთელის ბუნებაში და გვაკლია ჩვენ—ახალ გზის მაჩვენებელ მყვირალებს. მათში არის, თვით მემარცხენე ბოლშევიკიც, ჩვენთვის უცხო ერთი თვისება: ნათელი და უბრალო ადამიანობა. მათ შეუძლიათ გაცხარების დროს მუცელში დანა გაგიყაროს, მაგრამ მათ ორგანიულათ არ შეუძლია დაგცინონ და შეუბრალებლათ ბოროტათ მოგიხსენიონ. მახსოვს, თუ როგორ ვმოგზაურობდი ჩვენს ბოლშევიკ ჯარის კაცებთან ერთად; მახსოვს მათი ცივი, გამგმირავი გამოხედვა, მუქარა მატარებლის ქვეშ გადაგდების, შეურიგებელი მტრობა აფიცრებისადმი და არა ნორმალური იჭვიანობა განათლებულ გარეგნობისადმი. მახსოვს აგრეთვე ქართველი ჯარის კაცი ბოლშევიკი: ისინი მეკამათებოდენ ხმის ჩახლეჩამდის, შემდეგ კი ჩაისაც მომიდუღებდენ, მხიარულ ანეკდოტებით მართობდენ და ცდილობდენ ჩემს კონტრ-რევოლიუციონურ რევოლვერის ბოლშევიკ რევიზორისაგან დამალვას. რუსეთის შემდეგ საქართველოს მშრომელ მასის წრეში და განსაკუთრებით წითელ გვარდიაში მოხვედრა, თუ გინდ სხვა გვარ მოაზროვნეთა შორის ნიშნავს სულ სხვა ცხოვრების პირობებში მოხვედრას, სადაც გაუქმებული არ არის სიხალისე, აკრძალული არ არის ადამიანობა და ცოცხლობს ადამიანი.

ქართველ წითელ გვარდიელის ბუნებაში არის ზოგი ბრუტის და ზოგიც პეტრონიუსის თვისებანი. ის ესტეტია. ნათელმა ცამ და ფიროზ მთებმა ქართველ გლეხში და მოქალაქეში აღზარდეს ყვავილებისადმი სიყვარული, სილამაზის შეგნება. რუსეთის მემამულეების ადგილებში გლეხები თავდაპირველათ ბაღებს ანადგურებდენ, საქართველოში კი ისინი ხელუხლებელი არიან, ბაღები დაცულია იქაც კი, სადაც სახლები გადამწვარია. დასვენებულათ დაბრუნებულ წითელ გვარდიელის სამკაული მზეს უმზირას ხეპრო კი არ არის, არამედ ყვავილი გულზე და თოფის ლულაში, მე შემხვედრია მწყემსიც თარგულით ხელში, რომ მიერეკებოდა ჯოგს.

ქართველ წითელ გვარდიაში პოლიტიკურ ცინიზმს თქვენ ვერ ნახავთ, რუს თანამომძმეს მსგავსათ. რუსი საშუალო მუშას არა გაუკვირდება. არც მოულოდნელათ ეჩვენება, მაგალითად, ლენინის მიერ ხაზინის გაქურდვა რომ უთხრა. რუსეთში მოგზაურობის დროს არა ერთხელ შენიშნავს იდეურ კამათში მემარჯვენე სოც.-რევოლიონერი, რომ უყვიროდა ბოლშევიკს. თქვენმა ლენინმა მთელი საზამთრო სასახლის ქონება თავის ბინაზე გადაიტანაო. ბოლშევიკს ჯარის კაცს კი ამაზე ეჭვიც არ შეპარვია და დამშვიდებით უპასუხა: „მერე რა, რომ მოიპარა, ჰვენებურათ მოქცეულაო“. ასეთი მსჯელობა და აზრი უცხოა ქართველისათვის, თუ გინდ ცოტა შეგნებულისთვისაც. სომეხ „დაშნაკის“ და თათარ „მუსავატის“ მოღვაწეობის მიერ სახელმწიფო ქონების გატაცებაზე მართალია ზღაპრულ ლეგენდებსაც კი თხზავენ; მაგრამ თავიანთ მოღვაწის სახელს უბრალო შავი წერტილისაგანაც კი იცავენ: თავის თავში, ან საშუალო მოქალაქეში მათ შეუძლიათ ადამიანის ჩვეულებრივი სისუსტენი აღნიშნონ, მაგრამ ჟორდანია და წერეთელი მათ თვალში მუდამ უშიშარი და უმწიკვლო რაინდები არიან.

მე არ მინდა აქ ქართველი მუშის და წითელ გვარდიელის პსიქოლოგია ავწერო. რა თქმა უნდა მათშიც არის სპეციფიური უარყოფითი თვისებები, მაგრამ ამ წვრიმალებზე არ მსურდა შევჩერებულიყავი. მე მინდოდა მხოლოდ დამენახვებინა რუს მკითხველისათვის, რომ რუსეთის ყოფილ უზარმაზარ სახელმწიფოს სივრცეზე დარჩენილა პატარა კუთხე, სადაც სიძულვილი არ გამხდარა ერთად-ერთ მამოძრავებელ გრძნობათ, სადაც სილამაზე არ გამოუცხადებიათ ბურჟუაზიულ ჭორათ და რომანტიული მოტივები არ აღმოუფხვრიათ ადამიანის შეგნებიდან. და ყველა ეს სულიერი თვისებანი იმდენათ პატივსადები არიან, რომ ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ გამოსჩანან მუშა ხალხის ავანგარდის—წითელ გვარდიის ხასიათში.

ოჰ, ჩამორჩენილო საქართველო! რა სასიხარულოა, რომ ლუნაჩარსკის განათლება და ტროცკის გილიოტინის პათოსი არ შეეხო შენს საზღვრებს! და რა კარგია, რომ შენ კიდევ არსებობ ქვეყანაზე *).

სტ. ვოლსკი.

# სამხედრო მინისტრი ქუთაისის გუბერნიაში

25 ენკენისთვეს სამხედრო მინისტრმა გ. გიორგაძემ დაათვალიერა ქუთაისის გარნიზონი. მოისმინა რა პოლკების და სხვა ნაწილების უფროსებისაგან მოხსენება, იგი მოკლე სიტყვით მიესალმა მათ. 26 ენკენისთვეს ხონით წავედით სამტრედიაში. სადგურზე მოხსენებით მიეგება კომენდანტი პოდპორუჩიკი კალაშნიკოვი. აქვე მოგვეგება 20 კაცამდე გერმანიის ტყვეობიდან დაბრუნებული აფიცრები და ჯარისკაცები. მინისტრს მოახსენეს ის გაჭირვება, რაც მათ წილათ ხვდათ სამშობლოში შემოსვლისას—ფოთში, ადგილობრივმა მთავრობამ ვერ მიაწოდა მათ საჭმელი და სხვ

მინისტრის განკარგულებით მათ გადაეცა 1500 მ აქ დაათვალიერა სასურსათო მაღაზია და სხვა ნაწილები. 27-ს გავემგზავრეთ ფოთში. აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პირველ მოსაზღვრე შავი ზღვის რაზმმა. (ყოფილი მე 4 პოლკი ოზურგეთში) როტის უფროსი პრაპორშჩიკი კვაშალი მიეგება მინისტრს მოხსენებით. მინისტრმა მიმართა ჯარისკაცებს სიტყვით. შემდეგ ინახულა ფოთის ნავთსადგური (პორტი).

მინისტრმა ინახულა ადგილობრივი თვითმართველობა და ხმოსნებთან და ქალაქის თავის მოადგილესთან საუბარი ჰქონდა ჯარისთვის ბინების შესახებ, რომ ჯარისთვის უნდა იყოს არა სასწავლებლები, არამედ სხვა შენობები და სხ.

28-ს დილით ვიყავით ... აქ მე 4 ... ფოთში წასასვლელათ. მინისტრმა ინახულა ნაწილი ჯარისკაცებისა, რომელნიც ოზურგეთში რჩებიან. შემდეგ ინახულა „სამაზ. საზ. საკრებულო“, სადაც ახალ ჯარისკაცებს იღებენ. ეწვია აგრეთვე საავადმყოფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას და ქალაქის თავის მოადგილეს ესაუბრა სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე, იმავ დღეს, საღამოს სად. ნატანებში ვიყავით, სადაც მინისტრმა დაათვალიერა მოსაზღვრე „ჩოლოქ ს პოსტი“, რომელიც არის მდ. ჩოლოქზე. ხიდის აქეთ მხარეს ჩვენი და გერმანელების პოსტია, იქითა მხარეს—თათრების, როგორც გამოირკვა არც აქ სინჯავენ წამსვლელ-წამომსვლელთა ნებართვის საბუთებს. მინისტრმა განკარგულება მოახდინა, არ შემოუშვან საზღვარში არავინ, ვისაც არ ექნება ნებართვა ბათუმში ჩვენი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და აგრეთვე ტელეფონით შეაერთონ ყველა პორტები სადგურთან.

29-ს ქუთაისში ვიყავით, გაარჩია რა მინისტრმა სხვადასხვა ადგილობრივი ჯარის საჭირო კითხვები, 30-ს დაბრუნდა თფილისში.

---

საერთო შთაბეჭდილება: თითქმის არც ერთ ნაწილში არ არის საკმაო ტანისამოსი და ფეხსაცმელი. ბევრ ადგილას ფეხშიშველები იყვნენ ჯარისკაცები· ტანისამოსი დახეული, მოუწყობელი, ჯარისკაცებს და აფიცრებს ორი თვის ჯამაგირი არ მიუღიათ, საჭმელი არ კმარა. პურს ან მჭადს ზოგან აძლევენ 1 გირ. ზოგან 1 ნახ.-ს. შაქარს 8 მისხ. არ კმარა. ბევრ ალაგას ჯარის კაცებს არა აქვთ ლები, საბანი, ბალიში, არ დაჰყავთ აბანოში და სხ. მიუხედავათ ამ ნაკლისა სულიერი განწყობილება ჯარისკაცებ·ოფიცრების კარგია და იციან რა სამშობლოს გაჭირვება, ითმენენ გაჭირვებას. ახლათ ჯარში გაწვეულნი მოდიან. და რომ იმათ გული არ აუცრუვდეთ, აუცილებლათ საჭიროა აუცილებელი საგნების მიწოდება. ჩვენმა საინტენდანტომ მომარაგების კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჯარების დაკმაყოფილებას.

დ. ქ—ძე.

*) ეს წერილი დაბეჭდილია გაზეთ „კიევ. მისლ·ს“ № 141. ავტორი წერილისა უკანასკნელათ სცხოვრობდა ჩვენში, პირველათ ცუდათ იხსენიებდა ჩვენებს გამოყოფისთვის, მაგრამ როცა გაეცნო რუსეთის სინამდვილეს, აზრი არსებითად შეიცვალა.

რედ.

# მუშათა შორის

**საქართველოს მთავრობის სტამბაში** (საბეჭდავ განყოფილებაში) ოც წელიწადზე მეტია, რაც სხვადასხვა ქარხნებში ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სხვადასხვა დარგის მუშები გამიცვნია და არსად ისეთი რამ არ მინახავს და არ მსმენია, რასაც აქ ვხედავ და მესმის. ზოგიერთი მომუშავენი, რომელნიც ყოფილ „ნამესტნიკის“ დროს არიან მიღებულნი, მეტად გათამამებულნი არიან და მათ ალკოგოლიკობას საზღვარი არა აქვს. ამ ვაჟბატონებს შიგ სტამბაში შემოაქვთ ღვინო და აქ მიირთმევენ, ბევრჯერ სამუშაოსაც სტოვებენ, მიდიან მახლობელ ღვინის სარდაფში, იქ ითვრებიან და შემდეგ ერთი ღრიალით და უწმაწური სიტყვებით შემოდიან სტამბაში. 28 სექტემბერს მემანქანე კ. გელოვანმა მიატოვა მანქანები და ღვინის სარდაფში წაბძანდა. როდესაც იქიდან მთვრალი დაბრუნდა სტამბაში, ერთი ღრიალითა და გინებით ლანძღვა დაუწყო „ბორბაზე“ მომუშავე ბერბერაშვილს. უნდა აღვნიშნო, რომ რაც საქართველოს მთავრობის ხელში გადავიდა ეს სტამბა საბეჭდავ განყოფილებაში ორი მუშა მიღებული, რომლებიც თვალის დასანახათ ეჯავრებათ ძველი რეჟიმის დროს მიღებულებს და მათ ახალი მთავრობის „სისხნოიდან“ გამოგზავნილებს უწოდებენ.

ბევრჯერ სცადეს ამ ვაჟბატონებმა ამ ორი მუშის მათ ქკუაზე აყოლიება ღვინის მიწოდებით და სხვა ხრიკებით, მაგრამ ამაოთ. და აი ესაა, რომ აბრაზებს მათ და ვერ ურიგდებიან ძველის მოტრფიალენი, როდესაც ხედავენ მათ გვერდით წყნარსა და პატიოსან მომუშავეებს.

მოვაგონებთ ამ ვაჟბატონებს, რომ მთავრობის სტამბა სამიკიტნო არ არის, და არც განიმეოროთ ამიერიდან სტამბაში ღვინის შემოტანა, ანდა საქმის მიტოვება და სარდაფში წასვლა და იქიდან სტამბაში მთვრალი შემოსვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესიერების მომხრე მუშა, თავს ვალდებულათ ჩავსთვლი ყველა თქვენი ზნე დაცემულება გადვიტანო პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში, სადაც თქვენ მოგელის სამუშაოდან გაძევება, რაიც ბოლოს სანანებლათ დაგირჩებათ. მოგიწოდებთ წესიერად მუშაობისაკენ და თქვენი მოვალეობის პირნათლათ ასრულებისაკენ. ამას მოითხოვს შეგნებული და პატიოსანი მუშების ინტერესი.

მუშა ოფონიეშვილი.

## ს.-დემ. პარტიში

**თავრიზში** ყოფილ ს.-დ. ორგანიზაციის ანგარიში.

ათასგვარი მიზეზებისა გამო მოხდა თავრიზის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების მასიური გაქცევა წამოსვლა: ამხანაგებსაც მოუხერხებიათ და წამოუღიათ უმთავრესი ანგარიშის წიგნები თავრიზის რკინის გზის ს.-დ. ორგანიზაციისა, რასაც ვაქვეყნებთ პრესაში. გასული წლის 23 დეკემბერს, როგორც ანგარიში გვიჩვენებს კოლექტივის ხაზინადარს გრობმანს მიუღია ყოფილი კოლექტივის თავმჯდომარე და ხაზინადარ ა. კაპანაძისაგან 299 მან. 43 კ. ა. კაპანაძე 1917 წ. 2 ივნისიდან, ე. ი. დღიდან ამ ორგანიზაციის დაარსებისა ითვლებოდა კოლექტივის თავმჯდომარეთ, რომელიც თავისი ნებით გადადგა თავმჯდომარეობიდან და სარევიზიო კომისიის თანადასწრებით ანგარიში ჩააბარა ახალ ხაზინადარს გრობმანს, ანგარიში მაშინ კანონიერათ იქნა ცნობილი, მხოლოდ 30 მანეთის საბუთის ქაღალდები არ იყო, რომელიც ბოლოს წარმოადგინა კაპანაძემ, რომელიც სხვა საბუთებთან ერთად ინახებოდა ოქმის წიგნებთან, კოლექტივის ბიუროში, მაგრამ სამწუხაროთ ოქმის წიგნი, საბუთების ქაღალდების, შემოსავალ გასავლის და პაკეტების გასაგზავნი წიგნი ვერ წამოუღიათ, თუ დაუკარგავთ, საოლქო კომიტეტში არ სჩანს, მაგრამ რაც უმთავრესი იყო, ეს არის, კასის და სარეგისტრაციო წევრების ჩასაწერი წიგნი, რომლიდანაც ნათლათ სჩანს ყოველივე და ანგარიშიც გვიჩვენებს, რომლის საბუთებიც საოლქო კომიტეტში ინახება, რომ შემოსავალი ყოფილა სულ, რევიზიის შემდეგ 1081 მან. 23 კაპ. გასავალი კი 1133 მ. 63 კ. ამრიგათ კასას ვალი დაედო 52 მ. 40 კ.

აქვე უნდა აღინიშნოს ალფავიტის წიგნში ამოხეულია ალფავიტის ასო „ჟ", მაგრამ ეს ვერაფერს დაგვაკლებს, რადგანაც სარეგისტრაციო წიგნი ისეა შედგენილი, რომ იქ ყველა ნაკლის ანაზღაურება შეიძლება. ჩამოტანილია აგრეთვე საწევრო ბილეთები 200 ცალამდე, სამი საკვიტანციო წიგნი და დროშა, მაგრამ ეს უკანასკნელი, არ ვიცი რა მოსაზრებით, ტერენტი გველესიანს გადაუცია ყვირილა-შორაპნის ორგანიზაციისთვის. ჩემის აზრით ეს დროშა ეკუთვნის საოლქო კომიტეტს.

ამას გარდა ორასი მანეთი კოლექტივისა გაჰყოლია ივანე ივანეს ძე ლინდენბერგს. არ სჩანს აგრეთვე საკვიტანციო წიგნი, რომელიც ჰქონდა ქალაქ თავრიზში ამხანაგ იაკობ მიხეილის ძე კნიაზევს და არც ვიცით საით წავიდა. მხოლოდ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლინდენბერგი და კნიაზევი ბოროტათ არ ისარგებლებენ ორგანიზაციის ფულებით და იმედია პირველ მოხერხებისთანავე დაუბრუნებენ ორგანიზაციას ფულს, რაც მათზე დარჩა მოულოდნელი შემთხვევის გამო.

ამასთანავე მოვაგონებ თავრიზის რკინის გზის კოოპერატივის გამგეებს, რომლებზეც დიდი მითქმა-მოთქმაა ხალხში წარუდგინონ ანგარიში საზოგადოებას გაზეთების საშუალებით.

თავრიზის რკინის გზის ყოფილი კოლექტივის თავმჯდ. **ი. ყაჭიაშვილი.**

---

**აზარაკი ილდოქანი** (თიანეთის მაზრა). რკინის გზის ძველი მუშების ინიციატორობით, 20 სექტემბერს აქ დაარსდა იაჩეიკა სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიისა, რომელსაც კავშირი ექნება მახლობელ სოფელ ახმეტის ორგანიზაციასთან. იაჩეიკის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. გარუჩავა, ჟღენტი და მამიაშვილი. იაჩეიკამ დაავალა პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. გარუჩავას ქონოდის კავშირი სოფ. ახმეტის ორგანიზაციასთან და ყოველივე გადაწყვეტილება საოლქო კომიტეტისა აცნობოს ადგილობრივ იაჩეიკას. უნდა ვსთქვა, რომ აქ ამ იაჩეიკის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც თვით მუშებში, ისე ახლო მახლო სოფლის გლეხებშიაც, რადგანაც აქაური გლეხობა ცხოვრებაზე ძალიან ჩამორჩენილი არიან.

მონდომბილობით **დ. ჟღენტი.**

## სად.-მამულო რეფორმა

**ყვარელის რაიონი.** ყვარელის რაიონში მიწდებმა კომისიამ მუშაობა დაიწყო 20 მაისს და გაათავა 20 სექტემბერს. ამ დროის განმავლობაში მუშაობა თითქმის არ შეჩერებულა. კომისიის თავიდანვე შეიმუშავა შემდეგი მუშაობის წესრიგი: დაბინავდებოდა თუ არა რომელიმე საზოგადოებაში, მოიწვევდა სოფლის ყრილობას, უხსნიდა მიწის კანონს, აღგენდა ადგილობრივ საადგილმამულო კომისიას და მემამულეთა სიას. ამის შემდეგ კომისია ადგილობრივ წარმომადგენელთა თანდასწრებით იბარებდა მამულს თითოეულ მემამულისაგან,

უნდა აღინიშნოს, რომ ყვარელის რაიონი ერთი საუკეთესო და მდიდარი რაიონია მთელს კახეთში, იქ დიდი მემამულეები არ არიან. უმრავლესობა საშუალო მემამულეა. მიწის საკითხს სიმწვავე არ ემჩნევა. ამ რაიონში მიწა საკმარისად არის, გლეხების უმრავლესობას მიწის საკითხი არ აინტერესებს: მათ საკმარისად აქვთ ეგრედ წოდებული სააგენტო, ანუ სახელმწიფო მიწა. ამიტომ საკვირველიც არ არის თუ ამ რაიონის გლეხობა ასე გულ გრილად ეპყრობოდა კომისიის მუშაობას. ძნელად თუ გლეხი მოვიდოდა კომისიაში და ეცნობოდა კომისიის მუშაობას. თუ თითო ოროლა გლეხი მოვიდოდა კომისიაში, ისიც იმიტომ, რომ თავის მეზობელთან დავა ჰქონდა. გლეხებს ბევრი საჩივრები აქვთ ერთმანეთში. თუ ოდესმე გლეხს მიწა გაუყიდნია, ან დაუგირავებია, დღეს ის ცდილობს რამენაირად დაიბრუნოს. მიუხედავად ამისა, ყვარელის რაიონში არიან ისეთი სოფლებიც, რომლებიც ძლიერ დაინტერესდნენ მიწის კანონით. აიხსნება ეს იმით, რომ აქაურ გლეხებს სახნავ სათესი მიწა ცოტა აქვთ. ეს სოფლები არიან: საბუე, გრემი და ალმატი. მიწის განაწილების დროს ამ სოფლებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ სოფლების გლეხები თვითონ მოდიოდნენ კომისიაში და ეცნობოდენ ჩვენს მუშაობას და ხშირად თავისივე სურვილით ესწრობოდნენ მამულების ჩამორთმევას.

რაც შეეხება მემამულეთა დამოკიდებულებას, ისინი ასე თუ ისე ლოიალობას იჩენდენ. მხოლოდ მუშაობის დაწყებისას მემამულები სიცილით გვიხვდებოდნენ: მათ არა სჯეროდათ ამ საკითხის გადაწყვეტა და ყურადღებას არ აქცევდნენ ჩვენს მუშაობას, რამაც მუშაობა ცოტათი შეაფერხა. მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ ხუმრობა აღარ არის, გამოფხიზლდენ და საქმეს ჯეროვნად მოეკიდენ. წინეთ თუ არავითარ ცნობებს არ იძლეოდნენ და კომისიაში არ მოდიოდნენ, შემდეგ თვითონვე მოდიოდნენ, საქმეს ეცნობოდნენ და ყველა საჭირო ცნობებს გვაწვდიდნენ. როცა კომისია ერთ საზოგადოებაში ათავებდა მუშაობას, გადადიოდა მეორეში. მხოლოდ აქ სტოვებდა ადგილობრივ კომისიას, რომელსაც აბარებდა ჩამორთმეულ მამულებს და აძლევდა შესაფერის ინსტრუქციას, თუ როგორ მოევლო მამულებისათვის. ამნაირად ამ რაიონში ყველგან მოეწყო ადგილობრივი საადგილმამულო კომისიები, რომელთაც დაევალა ჩამორთმეულ მამულების დროებით განაწილება გლეხებს შორის, სანამ მთავრობის მიერ მოხდებოდეს მიწების დარიგება კანონის ძალით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიას ზოგიერთ ადგილას უხდებოდა მომრიგებელ მოსამართლის როლის შესრულება. საქმე იმაშია, რომ ბევრ ადგილას კომისიის მოსვლამდე დიდი გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. მაგალითად: ერთი სოფელი მეორეს ედავება სახნავ და საბალახო ადგილის შესახებ, ან რომელიმე სოფელი აყრას უპირებს ჩამოსახლებულებს და სხვა. კომისია თავის ზნეობრივ მოვალეობათ სთვლიდა ჩარეოდა ამასთანა საქმეებში და მოეგვარებია ისინი, რითაც ნიადაგი ეცლებოდა შესაძლებელ ანარქიას. კომისიაც ამ შემთხვევაში მიზანს აღწევდა და ზოგიერთ ახსნა-განმარტების შემდეგ საქმეს სასურველად აბოლავებდა. საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხები დიდს გაუტანლობას იჩენენ ყოველგვარი ჩამოსახლებულების მიმართ და წინაღმდეგები არიან გარეშე პირების სოფლად ჩასახლებას. გლეხების დამოკიდებულება გარეშე პირთადმი მტრულია.

კომისიამ ყვარელის რაიონში 68 მემამულე ჩამოართვა მამული. მათში რამდენიმე გლეხიც არის. კომისიას გლეხებთანაც უხდებოდა საქმე, მაგრამ მათ უმეტეს შემთხვევაში „სააგენტო" ადგილები უჭირავთ და ესენი კი დეკრეტის ძალით ფონდშია გადასული. ამიტომ ამ გვარ მიწებს კომისია არ შეხებია. სააგენტო მიწები კი კახეთში ბევრია. ამნაირად ბევრ გლეხებს ეს მიწები 20—30 დესეტინა შერჩა. მიწების განაწილების დროს კანონმდებელმა ეს უნდა მიიღოს მხედველობაში და ისე მოაწყოს, რომ „საგენტო" მიწები ასე თუ ისე თანაბრად განაწილდეს გლეხებს შორის, თორემ ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებას აქვს ადგილი. ამასთან ჩამორთმეულ მიწების ფალებს უკვე კრეფენ, ხოლო „საგენტო" მიწებიდან არაფერს იღებენ. წინათ გლეხები იხდიდენ იჯარას ხაზინის სასარგებლოთ, ეხლა კი ხნავენ 20—30 დესეტინას და არავის არაფერს აძლევენ. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება ცენტრალურ საადგილმამულო მართველობამ და მოახდინოს განკარგულება, რომ „საგენტო" მიწებიდგან აკრიფონ ღალები. ეს კანონიერი იქნება და ხაზინასაც სარგებლობას მოუტანს.

ყვარელის რაიონში სულ ჩამორთვა და ფონდში გადავიდა 21674 დესეტინა და 318 კვ. საჟენი. ამაში ვენახი—114 დეს. 1978 კვ. საჟ. სახნავი—1312 დეს. 2084 კვ. საჟ. საეზოვე, საწისქვილე და სადუქნე ადგილი—4 დეს. 561 კვ. საჟ. საბალახო იალაღი—791 დეს. 426 კვ. საჟ. ტყე—19426 დეს. 1309 კვ. საჟ. და უარგისი: ხევი, ჯაგების გზები—24 დეს. 1160 კვ. საჟ.

**პ. სიხოშვილი**

## პროვინცია

**აზარაკი ილდოქანი** (თიანეთის მაზრა). 20 აგვისტოს გზათა სამინისტრომ აქ დაიწყო ნავთის წარმოებაზე მუშაობა. საქმეს ხელმძღვანელობს რკინის გზის ნავთ-საყვანის სამსახურის უფროსი ინჟინერი ბ. ოგანეზოვი. ნავთის წარმოებას კარგი პირი უჩანს, მხოლოდ საქმეს ხელს უშლის საჭირო იარაღის უქონლობა. მოუწყობელია აგრეთვე ნავთის საზიდავი ტრანსპორტი. დღეს, როდესაც მატარებელს თელავიდან ერთი დღე ღამე სჭირდება თბილისში ჩამოსვლაზე და ქალაქიდან ფოთამდე სამ დღე და ღამეზე მეტი მაზუთის უქონლობის გამო, როდესაც ქალაქის ქუჩები უნავთობით სიბნელით არის მოცული, როდესაც ტრამვაის მიმოსვლა შეფერხებულია და წისქვილები თითქმის აღარ მუშაობენ, ამ აგარაკში, თუ საკმაო არა, მაინც კარგა ძალი ნავთი იშოვება და შეიძლება მიაწოდოს იმ დაწესებულებებს, რომლების არსებობა აუცილებელი საჭიროა სახელმწიფოსათვის. მე სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ თფილისის გარაჟში ყრიან უპატრონოთ ბევრი საბარგო ავტომობილები, რომლებითაც შეიძლება ნავთის გადატანის მოწყობა თელავამდე და იქიდან კი თფილისში ჩატანა ნავთის ქვაბებით (ცისტერნით). ამ ალაგიდან თელავამდე იქნება 37 ვერსი. გზა კი ძალიან კარგია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ალაგებს, სადაც უკვე მუშაობენ და აკეთებენ გზას და ამ ცოტა ხანში შეკეთებასაც მოათავებენ. ამ საქმის ხელმძღვანელი ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ადრე მოაწყოს ნავთის გადაზიდვის საქმე, მაგრამ რაღაც ჩვენთვის გამოურკვეველ მიზეზების გამო, სამინისტრო ვერ ახერხებს საქმის საჭირო დონეზე დაყენებას. ნავთის თვისება კი საუცხოვოა. აქ მუშაობენ დახელოვნებული მუშები რკინის გზის ნავთ-საყვანისა დაახლოვებით 40 კაცამდე და ადგილობრივი მუშები 30 კაცამდე. საჭირო მუშა ხელი კი იშოვება, მხოლოდ აუცილებელი და რაც შეიძლება დაჩქარებით საჭიროა ნავთის გადაზიდვის მოწყობა. სწორეთ აი ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება ჩვენმა მთავრობამ და რაც შეიძლება დახმარება გაუწიოს საქმის ხელმძღვანელს, რომ ჩქარა მიაწოდონ ნავთი თფილისს სხვადასხვა დაწესებულებებისთვის.

**დ. ჟღენტი.**

---

**მუხურის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). მუხურის საზოგადოება შესდგება შემდეგი სოფლებისგან: მუხურა, თავასა, თუზი და ვარდიგორა.

17 სექტემბერს აქ მოვიდა გუბერნიის კომისრის რწმუნებული ბ. დუმბაძე. მას ჰყავდა მოწვეული მთელი მუხურის საზოგადოების ყრილობა. რწმუნებული კრებას ელაპარაკა მიმდინარე მომენტზე, გააცნო ხალხს ჯამაგირიანი კომისრის და ხუთი მილიციონერის დამტკიცება ხაზინის ხარჯზე და წინადადება მისცა კრებას საზოგადოების კომისარი აერჩია. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა, მაგრამ საკითხი დაისვა მუხურის საზ. გაყოფის შესახებ. მუხურლებმა მიზეზათ წამოაყენეს სიშორე და უგზოობა. (10 ვერსით არის დაშორებული სხვა სოფლებს). აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა საზოგადოების საერთო ქონების განაწილება, ამავე კრებამ აირჩია კომისრები: მუხურლებმა არისტო გაბრიჭიძე, მარგველმა სოფლებმა ძველი კომისარი იოსებ კირკიტაძე. გამოყოფის მხრით უკეთეს პირობეში დარჩა მუხურა, რადგან 700 კომლამდე აღწევს, მხოლოდ მარგვეთის სამი სოფელი არ აღემატება 450 კომლს. მარგველ სოფლებს შემდეგი რჩევით მიმართა პ. ცინაძემ: „შემოვიერთოთ ჩხარის საზოგადოებიდან ორი სოფელი სკანდე და მუჯირეთი, რიცხვით 250 კომლამდე, რის შემდეგ ჩვენ მივიღებთ 700 კომლიან საზოგადოებას, მეორე მხრით ჩვენ შეგვიძლია სკანდე-მუჯირეთი ავაცდინოთ 10 ვერსზე ჩხარში სიარულს და მათით ჩვენც ზურგი გავიმაგროთ. აგრეთვე აღარ დაგვჭირდება საკანცელარიო შენობის დანგრევა და მიწის ყიდვა, რადგან ირგვლივ 2 ვერსით ვიქნებით შემორტყმული კომისარიატზეო". სკანდე-მუჯირეთის არჩეულმა რწმუნებულმა ალექსანდრე ჩიქვილაძემ სთხოვა გუბერნიის კომისრის რწმუნებულს, რომ მიეღოთ ეს სოფლები მარგველ სოფლებს ამხანაგათ. რწმუნებულმა დუმბაძემ არ იცნო ყურადღების ღირსათ პ. ცინაძის მოწოდება, და სკანდე-მუჯირეთის წარმომადგენლის თხოვნა. რადგანაც რწმუნებულმა დუმბაძემ უყურადღებოთ დასტოვა პ. ცინაძის წინადადება და სკანდე-მუჯირეთის თხოვნა სოფელმა თავასამ, რომელიც შესდგება 100 კომლისგან დემონსტრატიულათ დასტოვა კრება და აღარ მიიღო მონაწილეობა კომისრის არჩევაში და საზოგადოების უძრავ მოძრავი ქონების გამნაწილებელი კომისიის არჩევაში. და თუ სკანდე მუჯირეთი შემოვიერთეთ მივიღებთ ერთ მოზრდილ საზოგადოებას 450 კომლის ნაცვლათ 700 კომლიანს, არ დაგვჭირდება კანცელარიის შენობის დანგრევა და მიწის შოვნა, რომელსაც ამ სიძვირეში დიდი ზიანი შეუძლია მიაყენოს სოფელს, აგრეთვე თუ სკანდე-მუჯირეთს შემოვიერთებთ დღეს არსებული კანცელარია იქნება შუა ადგილზე და სოფლები იქნებიან გარ შემორტყმული ირგვლივ 2 ვერსზე.

**მუხის ძირელი.**

---

**ქ. ყვირილა.** მეოთხე წელიწადია აქ არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „ერთობა". ძველათ მისი საქმეები კარგათ მიდიოდა მომქმედ პირთა წყალობით; დღეს ის გახდა ნოქრების საკუთარ სავაჭროთ: ღამით ვაჭრებს აძლევენ კალოშებს, შაქარს და წუმწუმას; როცა წევრი მოითხოვს რამეს უარით ისტუმრებენ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები ვალდებული არიან ამ უწესოებას დროით მიაქციონ ყურადღება და ასეთი წმინდა დაწესებულება გასწმინდონ არა საიმედო პირებისაგან, თორემ კოოპერატივი ხალხის თვალში დაკარგავს ყოველივე მნიშვნელობას.

**ისავარ.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ოზურგეთის მაზრის კომისარს გერმანე ბეგლარის ძე ლლონტს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამი სასწავლებელს 75 მანეთი და 75 კაპ.

დვაბზუის ორ-კლას. სკოლის ზედამხედველი **ბარნაბა გიგოს ძე მენაბდე.**

---

უმორჩილესად გთხოვთ ამხ. რედაქტორო, თქვენ პატივცემულ გაზეთის „ერთობის" ფურცელზე მოათავსოთ შემდეგი: ამა წლის 6 ენკენისთვეს, მე თბილისის საქ. სადგურის მუშამ გიგო ლომთათიძემ სტუმრათ წავიყვანე სახლში ჩემი ცოლის ძმის შვილი სარდიონ ქიშვარდის ძე ჩიგოგიძე, რომელიც დარჩა ჩემთან ერთ კვირამდის, როგორც უმუშევრათ დარჩენილს, როგორც ნათესავს და აგრეთვე მატერიალურად გაჭირვებულს, შეძლების და გვარათ პატივი ვეცი, რაც მან ბოროტათ გამოიყენა და მადლობის მაგიერ ოთახიდან მოიპარა როგორც ჩემი, ისე ჩემთან მდგომი ამხანაგების ისაკი ჩავლეშვილის და კასიანე ლომთათიძის ყოველი ფერი, თუ რამე ტანისამოსი და თეთრეული გაგვაჩნდა. ამით ვაუწყებთ საზოგადოებას და განსაკუთრებით ს. ჩიგოგიძეს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შემდეგისათვის ამ ვაჟბატონთან ფრთხილათ იყვენ.

ტფ. სადგურის მუშები: **გიგო ლომთათიძე, კასიან ლომთათიძე და ისაკი ჩავლეშვილი.**

## ცნობები

ჭირისუფლების და ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ბაქოში ბალშევიკებთან შეტაკების დროს დაღუპული ბაქოს დეპოში კარგათ ცნობილი ამხანაგი აპალო ცინცაძე დასაფლავებულია ბაქოშივე. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება: მალაკანის ქ. № 52, პლატონ ანთიძე.

## ფონდი

მე 4 ქართ. პოლკის მე 7 ასეულისაგან „ერთობის" სასარგებლოთ მივიღეთ 50 მან.

## განცხადებანი


კბილის საექიმო კაბინეთები
**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ.№ 9-53. (24—24)

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მა[illegible]ძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლულოვანებით, [illegible] ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**ქ. ხ ო ნ ი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

**ექიმი ვ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ.№ 5—77.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
**პეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**კონსერვატორიის დარბაზი**
(გრიბოედოვის ქუჩა)
**შაბათს, 5 ოქტომბერს** — გაიმართება — **შაბათს, 5 ოქტომბერს**
**გალაკტიონ ტაბიძის**
**პოეზიის საღამო**
ბილეთები იყიდება წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. (5—4)

**ნაძალადევის თეატრის შენობაში**
პარასკევს, 4 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე დანიშნულია
**პირველ რაიონის სოც.-დემ. მუშათა პარტიის კოლექტივის ახალი წევრების**
**არჩევნები**
რაიონის წევრების დასწრება კრებაზე აუცილებელია. (2—2)

სამხედრო დასახიჩრებულთა კავშირის სასადილოში
(მიხეილის პრ. № 83)
კვირას, 6 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია კავშირის წევრთა
**საზოგადო კრება**
დასწრება ყველასი სავალდებულოა.
**დღის წეს-რიგი:** 1) განხილვა და დამტკიცება შეცვლილი წესდებისა.
2) არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, თანახმათ ახალი წესდებისა.
3) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოქმედების შესახებ და რევიზიის შედეგზე.
4) მიმდინარე კითხვები. (2—2)

**თფილისის სახელმწიფო ინსტიტუტში**
და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს (ქართულ ენაზე). ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართული ენა და ლიტერატურა, საქარ. ისტორია). 2. ბუნების მეტყველება და მათემატიკა.
**ცნობად:** 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტში პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი-მთავრის ქუჩა № 91. ინსტიტ. დირექტორი დ. ნ. უზნაძე. (6—1)

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში
საჭიროა **ინსტრუქტორები** მცოდნე კოოპერაციისა როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად. პირობები შემდეგია: უმცროს ინსტრუქტორს ეძლევა ჯამაგირი 1350 მან. თვეში, უფროს—1500 მან. დღიური და გზის ფასი ცალკე. თხოვნებს იღებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა. მიხეილის პრ. № 178. (3—1)

ხაშურის ქალაქის გამგეობა
იჯარით სცემს **ქალაქის აფთიაქს** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქალაქის გამგეობას. (2—1)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.